# საქართველოს რესპუბლიკა


იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

პარასკევი, 30 აპრილი, 2010 წელი.

№80 (6446)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


შემირცხვენია თვით ინდოელთა მრავალხელება ღვთაება შივაც კი. ჩვენს გიგის, სულ ცოტა, სამი ხელით მეტი მაინც გამოუვა...

## უგულავას გამომცხვარი...

③



## ხელისუფლება ოპოზიციას ქსაქსავს, ოპოზიცია ხელისუფლებას აერთიანებს

④



პოლიტიკაში ორი ეშმაკური ხერხი არსებობს მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად: „დაყავი და იბატონე“ და „ეძებე მეგობრები შენი მტრების ბანაკში“. სააკაშვილის ხელისუფლება წარმატებით იყენებს ოპოზიციის მიმართ ამ ეშმაკობებს: თვითონ მუდამ გაერთიანებული („ჩვენ ერთი გუნდი ვართ“), გამუდმებით ქსაქსავს და ათითოპარტიავებს ოპოზიციას. ოპოზიცია კი, თითქოს პოლიტიკისა არაფერი გაეგებოდეს, პირიქით იქცევა.

## დიდი მეცნიერი, რომელიც ერთდროულად აფხაზიც იყო და ქართველიც



⑦

პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე – 90



## სანკტ-პეტერბურგში საქართველოს მომავალზე მსჯელობდნენ

⑥

## აღდგება თუ არა უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული ისტორიის ფაკულტეტი?

⑤



## იოანე ზოსიმეს წერილი გაშიფრულია!!!!

⑨

სენსაცია ქართულ ენათმეცნიერებაში

ჰამლეტ გეგია:

## თანადგომა ჟურნალისტებსაც სჭირდებათ

⑤





## კისერს კი მოიტეხენ, მაგრამ თავისით?!

③

№ 80. პარასკევი, 30 აპრილი, 2010 წელი.

**ინფორმაცია**

## ალიანსელები საკრებულოს თავმჯდომარის პოსტს ვაკანტურად ტოვებენ

**„ალიანსი საქართველოსთვის“ საკრებულოს თავმჯდომარის პოსტზე სოზარ სუბარის კანდიდატურას აღარ დააყენებს. ამის შესახებ „ალიანსის“ ლიდერმა ირაკლი ალასანიამ გუშინ, „ახალი მემარჯვენეების“ ოფისში განაცხადა, სადაც „ალიანსის“ მაჟორიტარი კანდიდატების პრეზენტაცია გაიმართა.**



მისი თქმით, „ალიანსი“ დანაპირებს ასრულებს და საკრებულოს თავმჯდომარის პოსტს ვაკანტურად ტოვებს.

„ალიანსის“ ერთ-ერთი ლიდერი სოზარ სუბარი არაერთხელ იყო ჩაბმული მოლაპარაკებების პროცესში, იმისთვის რომ სხვა პოლიტიკურ ძალებთან შეთანხმება მომხდარიყო, სოზარ სუბარმა განაცხადა, რომ ის მზად არის, უკან დაწიოს საკუთარი პოლიტიკური ამბიციები.

– იგი მზად არის საკრებულოს თავმჯდომარეობაზე თავისი კანდიდატურა უკან გამოითხოვოს და დაუთმოს ეს პოსტი სხვა პოლიტიკურ ძალებს. ჩვენ ყოველთვის ვასრულებთ დანაპირებს, „ალიანსში“ ყველამ ერთად მივიღეთ გადაწყვეტილება – თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის პოსტი დავტოვოთ ვაკანტურად, რათა მოხდეს შეთანხმებები არჩევნებში გამარჯვების შემდეგ პოლიტიკურ ძალებს შორის და მათთან ერთად განვსაზღვროთ, თუ ვინ იქნება საკრებულოს თავმჯდომარე, – განაცხადა ალასანიამ.

## მაჟორიტარი კანდიდატები ერთმანეთისგან მხოლოდ სახელითა და გვარით განსხვავდებიან – დაპირებები იგივეა

**„ქრისტიან-დემოკრატების“ ლიდერმა გიორგი თარგამაძემ და საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატმა ინგა გრიგოლიამ მთაწმინდის რაიონში მაჟორიტარის კანდიდატად თამთა დემურიშვილი წარადგინეს.**

როგორც წარგენაზე გიორგი თარგამაძემ განაცხადა, ქართველი ამომრჩევლისთვის დაბალ ტარიფებთან და დასაქმების პროგრამასთან ერთად ჯანდაცვის და სოციალური დაცვის საკითხებიც ძალიან მნიშვნელოვანია.

– ჩვენი ჯანდაცვის და სოციალური დაცვის მუნიციპალური გეგმა პირველ რიგში ყველაზე დაუცველ ფენებზე იქნება ორიენტირებული. ამ კუთხით კი ჩვენი მოძრაობისთვის თამთა დემურიშვილი ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენია, – აღნიშნა პარტიის ლიდერმა.

მაჟორიტარი კანდიდატის თამთა დემურიშვილის განცხადებით, იგი წინასაარჩევნო კამპანიაში აქტიურად ჩაერთვება და მოსახლეობის პრობლემებს დეტალურად შეისწავლის.

– მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების მხრიდან დაბალ ტარიფებს ცინიკური დამოკიდებულება მოჰყვა, მინდა ვთქვა, რომ ეს პირდაპირ კავშირშია სოციალურ საკითხებთან, – აღნიშნა დემურიშვილმა წარდგენაზე.

**იდეა**

## რუსეთში ქართული ლობი შეიქმნება

**პეტერბურგის ორდღიანმა ფორუმმა რუსეთშიც და ჩვენთანაც დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია, რადგან ყველას კარგად მოეხსენება ალექსანდრე ებრალიძის ამბიციები საქართველოსთან დაკავშირებით, რაც მან ზაალ უდუმაშვილის გადაცემა „არჩევანში“ კიდევ ერთხელ დაადასტურა, თუმცა როგორც აღმოჩნდა, რუსეთში მოღვაწე ამ ბიზნესმენმა პრეზიდენტობა გადაიფიქრა და ამაში დიდი წვლილი „ეროვნულმა საბჭომ“ და კონკრეტულად ფორუმზე სტუმრის სტატუსით მყოფმა „ხალხის პარტიის“ ლიდერმა კობა დავითაშვილმა შეიტანა. მან მიზანშეწონილად ჩათვალა რუსეთში ვიზიტის დეტალებზე ჟურნალისტებთან ესაუბრა და „პრაიმთაიმის“ მედიაკლუბში პრესკონფერენცია გამართა.**

– რუსეთში ქართველთა კონგრესზე უაღრესად საინტერესო საუბარი მქონდა ბიზნესმენ ალექსანდრე ებრალიძესთან. მან გაიზიარა ჩვენი რჩევები იმასთან დაკავშირებით, რომ აღარ შეექმნა პარტია და ასევე აღარ ეფიქრა საქართველოს პრეზიდენტობაზე. შექმნილ ქართულ-რუსული საკონსულტაციო საბჭოს ფარგლებში, შევთანხმდით, რომ მხარდაჭერა გაგრძელდება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხთან დაკავშირებით. გაითვალისწინეს ის მოსაზრება, რომ კიდევ ერთი პოლიტიკური პარტიის შექმნა დიდ ენთუზიაზმს არ გამოიწვევდა არც ოპოზიციურ სპექტრში და არც საზოგადოებაში. რუსეთში ქართული ლობის შექმნით, რომლის მთავარი საზრუნავი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის მხარდაჭერა და ხელშეწყობა იქნება, უფრო დიდი



საქმე გაკეთდება, რომელიც ჩვენს ურთიერთობებს ბევრად წაადგება, – **განაცხადა კობა დავითაშვილმა.**

როგორც აღმოჩნდა, ალექსანდრე ებრალიძე მზადაა, განახორციელოს ქართული ლობის შექმნის იდეა. ამ ერთგვარი „ინსტიტუტის“ შექმნის პრეცედენტი აქვთ სომხებს, რომლებიც დავითაშვილს მაგალითად მოჰყავს და ამბობს, რომ სომხურმა ლობმა თვით აშშ-ს კონგრესში შეძლო სომხთა გენოციდის აღიარება, რუსეთში ქართული ლობი კი ჩვენი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისთვის არანაკლებ შედეგს მოიტანს.

– სომხური ლობის დასაყრდენი მთელ მსოფლიოში დიასპორებია. რუსეთში არსებულ ქართულ დიასპორასა და სხვა ქვეყნებში არსებულ დიასპორებს შორის პრინციპული განსხვავებებია. პირველი ის, რომ რუსეთში ქართული დიასპორა უფრო ძველია, ვიდრე ევროპაში და რუსეთში ქართველები არ არიან დაკავებული „შავი საქმით“. იქ ქართველები წამყვან პოზიციებზე არიან როგორც ბიზნესში, ასევე პროფესიულ საქმიანობაში. ჩვენ კი ეს რესურსი კარგად უნდა გამოვიყენოთ, – აღნიშნა „ხალხის პარტიის“ ლიდერმა.

რუსეთში ქართველი პოლიტიკოსების ვიზიტებს, ალბათ, კიდევ ბევრჯერ ვიხილავთ, კიდევ ბევრი კითხვა და პასუხი გაჩნდება ამ ყველაფრის ირგვლივ. ალბათ, არც ქართული დიასპორის, თუნდაც ლობის შექმნას ხელს არაფერი შეუშლის. რეალურად რა მიზნებს მოემსახურება ალექსანდრე ებრალიძის ხელმძღვანელობით შექმნილი ქართული ლობი, სავარაუდოდ ძალიან მალე ვიხილავთ.

**ანა წიწილაშვილი**

**ევროსაბჭო**

## მასობრივი შიმშილობა გენოციდად არ აღიარეს

**ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ სტალინის რეჟიმის მიერ უკრაინელების შიმშილით მასობრივი დახოცვის ფაქტი გენოციდად არ აღიარა.**

**აღნიშნულის შესახებ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ რეზოლუცია მიიღო, სადაც საუბარია საბჭოთა კავშირის ქვეყნებში ადამიანების მასობრივი შიმშილით დახოცვაზე.**

ევროსაბჭოს მიერ მიღებულ რეზოლუციაში აღნიშნულია, რომ „შიმშილი, რომელიც 1930 წელს ყოფილ საბჭოთა კავშირში დაიწყო, ევროპის ისტორიის XX საუკუნეში ერთ-ერთი ყველაზე ტრაგიკული ფურცელია. მილიონობით ადამიანი ბელორუსში, ყაზახეთში, მოლდოვაში, რუსეთში და, განსაკუთრებით, უკრაინაში სტალინის სასტიკი და არაჰუმანური პოლიტიკის გამო დაიღუპა, – ნათქვამია დოკუმენტში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ მასობრივი შიმშილის გამო განსაკუთრებით უკრაინა დაზარალდა, საბოლოოდ კი ეს ტრაგიკული შემთხვევა ცნობილია, როგორც „გოლოდომორი“ (პოლიტიკურად მოტივირებული შიმშილი).

ამასთან, ევროსაბჭო უკრაინის ხელისუფლების გადაწყვეტილებას მიესალმება, რომელიც მასობრივი შიმშილით დაღუპული ადამანების ხსოვნის პატივსაცემად ნაციონალურ დღეს დააარსებს და სხვა ქვეყნებსაც მოუწოდებს, უკრაინის მაგალითს მიმართოს.

შეგახსენებთ, რომ მასობრივმა შიმშილობამ 1933 წლის პირველ ნახევარში უკრაინის სსრ-ის მნიშვნელოვანი ტერიტორია მოიცვა და დაახლოებით 2,2 მილიონი ადამიანი შეიწირა (ზოგიერთი მონაცემებით 10 მილიონამდე). შიმშილობა გამოწვეული იყო საბჭოთა პოლიტიკით, რომელმაც კერძო მეურნეები იძულებით გააწევრიანა კოლექტიურ მეურნეობებში.

არსებობს მოსაზრება, რომ გოლოდომორი ხელოვნურად იყო გამოწვეული უკრაინული ნაციონალიზმის ჩასახშობად და ამგვარად იურიდიული თვალსაზრისით გენოციდად შეიძლება ჩაითვალოს.

თუმცა, ამის საწინააღმდეგოდ ასევე ამტკიცებენ, რომ გოლოდომორი საბჭოთა ინდუსტრიალიზაციასთან დაკავშირებული რადიკალური ეკონომიკური ცვლილებებით გამოწვეული ტრადიციული შინამეურნეობების მოშლის შედეგი იყო.



2008 წლის მარტისთვის უკრაინის პარლამენტმა და დაახლოებით 19 სხვა ქვეყნის მთავრობამ საბჭოთა მთავრობის ქმედებები გენოციდად მიიჩნია.

2003 წელს გაეროში მიღებულმა ერთობლივმა დეკლარაციამ მასობრივი შიმშილობა ტოტალიტარული რეჟიმის პოლიტიკისა და არაჰუმანური ქმედებების შედეგად აღიარა, რასაც საბჭოთა კავშირში მილიონობით უკრაინელის, რუსის, ყაზახისა და სხვა ეროვნების ხალხის დაღუპვა მოჰყვა. 2008 წლის 23 ოქტომბერს ევროპის პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომელმაც გოლოდომორი ჰუმანურობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულად სცნო.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**სტიქია**

## გადაუღებელმა წვიმამ კიდევ ერთი სახლი შეიწირა

**ძლიერი წვიმების გამო თბილისში კიდევ ერთი სახლი ჩამოინგრა.**

როგორც საგანგებო სიტუაციების სამსახურის უფროსმა თემურ გიორგაძემ განაცხადა, დოლიძისა და პანკისის ქუჩების კვეთაზე სახლის კედელი ჩამოინგრა, რის შედეგადაც ერთი ოჯახი დაზარალდა.

შემთხვევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა ნგრევის შედეგად იქვე მდგომი ავტომანქანა დაზიანდა.



## ზარალს ითვლიან

**კახეთში ინტენსიური წვიმების შედეგად მოსახლეობისთვის მიყენებულ ზარალს ითვლიან.**

**ამის შესახებ კახეთში პრეზიდენტის რწმუნებულის აპარატში განაცხადეს.**

მათი ინფორმაციით, კახეთში გუშინდელმა ღამემ მშვიდად ჩაიარა და რეგიონისთვის წვიმას დამატებითი პრობლემები აღარ შეუქმნია.

ამასთან, შექმნილია კომისია, რომელმაც სტიქიის მიერ მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის დათვლა დაიწყო. კომისიას კახეთისთვის მიყენებული ზარალის წინასწარი მონაცემები რამდენიმე დღეში ექნება.

**ჯი-ეიჩ-ენი**

№ 80. პარასკევი, 30 აპრილი, 2010 წელი.

## ◉ გუშინდელი ფოსტიდან

ყველაფერი, ყველაფერი, მაგრამ ეს ვინ გვყოლია, ეს რა გვყოლია?! ქალაქის თავობა კი არა, ამ კაცისთვის ქვეყნის თავობაც მეცოტავება. ეს რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციას უნდა ჩავუყენოთ სათავეში, თუ გვინდა, რომ პლანეტა გადაგვირჩეს და კაცობრიობამ მშვიდად იცხოვროს.



# უგულავას გამომცხვარი...

ეს ჩვენი პრეზიდენტიც, ეტყობა, ამ ბოლო დროს იმიტომ გაქსუვდა, იმიტომ აღარ ჩამოდის საქართველოში და „ბაბოჩკიანი“ იმიტომ მოგვევლინა შტატებში, რომ უგულავასაგან დამფრთხალმა სრულიად ახალი ულტრათანამედროვე პიარტექნოლოგიების ძებნა დაიწყო, — ხომ მოგეხსენებათ თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო... მაგრამ ვაი, რომ პიაროსანი თხები კი მოგვიმრავლდნენ, ოღონდ მაგათი შემჭმელი მგლები ჯერ კიდევ არა ჩანან.

რაც შეეხება უგულავას პიარკამპანიას, მსგავსი არა თუ არ მინახავს რა, არამედ არცა მსმენია. ზოგი იმასაც ამბობს, სააკაშვილმა ამერიკიდან უკარნახაო და თვითონ შორიდან ადევნებს თვალყურს თავის დადგმულ სპექტაკლსაო.

შემირცხვენია თვით ინდოელთა მრავალხელება ღვთაება შივაც კი. ჩვენს გიგის სულ ცოტა, სამი ხელით მეტი მაინც გამოუვა... ეს დანარჩენი მერობის კანდიდატები კი დამდგარან და ამაოდ ლაქლაქებენ, ამაოდ ფქვავენ ნაირ-ნაირ გემრიელ დაპირებებს... იმის მაგივრად, რომ უგულავას შემხედველებმა უარი თქვან არა მარტო მერობაზე, არამედ საერთოდ თავიანთ ხელობაზე.

კი, ბატონო, ამ დანარჩენებმა, თავიანთი აზრით, იქნებ ბევრ რამეში ტოლიც არ დაუდონ ჩვენს პრეზიდენტობისკენ გეზაღებულ გიგის, მაგრამ ღმერთი, რჯული, ერთ რამეში ვერც გაუტოლდებიან და, როგორც იტყვიან ხოლმე, ახლოსაც ვერ მივლენ... გუშინ მე დადიანის ქუჩაზე გიგი უგულავას გამომცხვარი თონის პური რომ ვიყიდე, ტყუილია, იმისთანა პურ-წყალი თბილისში ვინმემ იცოდეს და იმისთანა ვინმემ გამოაცხოს... კაცი დავბერდი და ამნაირი გამომცხვარი არსად არა მინახავს რა.

ჯერ არ აგვირჩევია და რას აცხობს და რომ ავირჩევთ, წარმოგიდგენიათ, რას იზამს?! თონე, აბანოში მექისეობა და ბენზინგასამართი სადგური კი არა, ალბათ, სამშობიაროშიც ვიხილავთ ბებიამერად... ხალხო, ჯამაათნო, თბილისელნო, ნურავის ნუ დაუჯერებთ გიგის აუგს, თვით ცაგურიასაც კი... ამ თავზეხელაღებულ ოპოზიციონერს.

არადა უგულავას გამომცხვარი თუნდაც იმით განსხვავდება სხვათა გამომცხვარისგან, რომ ცარიელზედაც სულ იფ-იფის ძახილით გადაივლი, არცრა მისატანებელი დაგჭირდება... მომავალ არჩევნებამდე კი, რა გარანტია გვაქვს, რომ ნაკლები თუ არა, იმაზე მეტი მისაყოლებელ-მისაჭმელი გვექნება, რითაც დღესა ვართ განებივრებული (მარტო ჩინეთიდან ჩამოტანილ აყროლებულ ქათმის ხორცს სულაც არ ვგულისხმობ!).

ასე რომ, კიდევ ერთხელ დავჯერდეთ ამ ჩვენს თურმე ყოვლისშემძლე გიგი უგულავას გამომცხვარს. და ის კი არა, როცა ვინმე არჩევანში გაწბილებულის ნიშნისმოგება დაგვჭირდება, ძველებურად „დედიშენის გამომცხვარის“ ნაცვლად შემოვიღოთ და დავამკვიდროთ: „უგულავას გამომცხვარი“, ანუ აი ასე:

— კი მინდოდა, მაგრამ...

— გინდოდა და ხომ მიიღე უგულავას გამომცხვარი!..

მიხეილ ჭამპურაძე,
თბილისელი ამომრჩეველი

## ◉ პროგნოზი

**კაცზე, რომელიც თავის თავს ვნებს, სხვისი კი არ ეყურება, იტყვიან: „აცალეთ, თავისით გადაირევაო“, მაგრამ როცა ასეთი გაუგონარი კაცი მთელ ქვეყანას ვნებს, ანალოგიურად თქმა: „ერთხელაც იქნება ისეთ რამეს ჩაიდენს, თავისით მოიტეხს კისერსო“, უკვე დანაშაულის ტოლფასია, ასეთი „ქკვიანური“ ტაქტიკა მხოლოდ „ჭკუამხიარულმა“ ოპტიმისტებმა შეიძლება მოიფიქრონ მხოლოდ.**

არა, სისულელეებს და სისაძაგლეებს როგორ არ ჩაიდენს ხელისუფლება პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, ისე „გაგვანებივრეს“, ამას ნამდვილად არ მოგვაკლებენ, მაგრამ როგორ გგონიათ (ვისაც ჰგონია), კიდევ მერამდენედ ან რა უნდა ჩაიდინონ იმისთანა, რაც აქამდე არ ჩაუდენიათ (დარჩა რამე?!), რომ თავისით მოიტეხონ

# კისერს კი მოიტეხენ, მაგრამ თავისით?!

კისერი, ანუ თავისით თქვან უარი ძალაუფლებაზე, მილიონ-მილიარდებზე და ხელებიც გამოგვიშვირონ ბორკილების დასადებად. „ოპტიმისტები“, ალბათ, იმასაც ფიქრობენ — ეს „თავისით კისერმოტეხილები“ გადადგომის პირობად ერთ მოთხოვნას წამოაყენებენ აუცილებლად: „ხალხმა გაგვასამართლოს, კუზლაშვილის სასამართლოს არ ვენდობითო“.

იმდენი, არათუ გადასაყენებლად საკმარისი, არამედ სისხლის სამართლის დანაშაული აქვს ჩადენილი ხელისუფლებას აბსოლუტურად ყველა სფეროში (სოფლის მეურნეობიდან და განათლებიდან დაწყებული თავდაცვით და საგარეო პოლიტიკით დამთავრებული), რომ ყველაფერს კომპიუტერის მეხსიერება თუ დაიტევს მხოლოდ, თორემ ერთი კაცის ნამდვილად არ ეყოფა.

ქვემოთ მხოლოდ თავიანთი პირით აღიარებულზე და დადასტურებულზე მოგახსენებთ, რომლებსაც რატომ უნდა სჭირდებოდეს კიდევ ახალ-ახალის დამატება, გაუგებარია. ვითომ კიდევ და კიდევ თუ დაამატებენ და ჩვენც კიდევ და კიდევ თუ გავლანძღგავთათხავთ მათ, ამით საქმე მკვდარი წერტილიდან დაიძვრება? ამის იმედად მართლა ჩვენი მტერი იყოს!

აი, მხოლოდ უმაღლესი პირების მიერ ჩადენილი, საკუთარი პირით გაცხადებული და დოკუმენტური ვიდეომასალით გამყარებული დანაშაულობები ქრონოლოგიურად (ეჭვი არ მეპარება რაღაცები უეჭველად გამომრჩება):

1. **აფრასიძეების ოჯახის ამოწყვეტა,** აღიარებული პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ, როგორც მის მიერ გაცემული ბრძანება (მანამდე რომ ბარამიძის პირადი ინიციატივა გვეგონა);

2. 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო **არჩევნების არნახული მასშტაბით გაყალბება,** დადასტურებული ვიდეოთვალით;

3. **2008 წლის ე. წ. აგვისტოს ომი** — დანაშაულებრივი წამოწყება და ადგილობრივი მოსახლეობისთვის დამაიმედებელი მცდარი ინფორმაციის მიწოდებით მისი გაწირვა, ევაკუაციის არგანხორციელება; კოდორის უბრძოლველად დატოვება და უამრავი საბრძოლო მასალის მტრის ხელში დატოვება... (ამ პუნქტში სხვადასხვა სახის დანაშაულია ჩამოთვლილი, რომლებიც შეიძლებოდა ცალკე გამოგვეყო, მაგრამ პატარა საგაზეთო წერილისთვის ასეც გამოდგება);



4. ცალკე პუნქტად გამოსაყოფი და გასაერთიანებელია სამი უნიჭოდ დადგმული სამარცხვინო პროვოკაცია პრეზიდენტის მონაწილეობით (კამერებით დაფიქსირებული): **განმუხურის,** როცა საკუთარ ხალხს, ავტობუსში მსხდომთ დაუშინეს ტყვიები (ვითომდაც აფხაზებმა); **ახალგორის,** როცა პოლონეთის პრეზიდენტს, აწ განსვენებულ ლეხ კაჩინსკის ოსების მხრიდან თავდასხმის იმიტაცია მოუწყო პრეზიდენტმა (შემდგომში ქართული მხარის მიერ მოწყობილ პროვოკაციად შეფასებული პოლონეთის სამსახურების მიერ); და **მუხროვანის,** როცა უსინდისოდ შეთითხნილი სამხედრო ამბოხის ბრალდებით ჯარში ავტორიტეტის მქონე გმირი ქართველი ოფიცრები და გენერლები ჩახოცეს და ციხეებში ჩაყარეს;

5. **დიდების მემორიალის აფეთქება** ქუთაისში პრეზიდენტის პირადი ბრძანებით;

6. **„ტელეიმედის“ შიზოიდური გადაცემა-ექსპერიმენტი,** ჩატარებული საკუთარ მოსახლეობაზე პრეზიდენტის უშუალო მითითებით (დადასტურებული, როგორც სატელეფონო საუბრით, ისე გადაცემაზე მისი კომენტარებით);

7. **უკრაინის შინაურ საქმეებში უხეში ჩარევა** იქ დამკვირვებლების ნიღბით 2000-კაციანი „სპეცნაზის“ გაგზავნით;

8. შინაგან საქმეთა მინისტრის **მერაბიშვილის მიერ** რუსეთის გაზეთ **„კომერსანტისთვის“ მიცემული ინტერვიუ,** სადაც საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარე (გივი თარგამაძე) სამშობლოს ღალატშია მხილებული, ხოლო თავად მხილებელი მინისტრი (და პრეზიდენტიც, რა თქმა უნდა!) — ამ მოღალატისთვის ხელის დაფარებაში.

იხ. 4 გვ.

## ◉ ინფორმაცია



### ეკა ბესელიამ კიდევ 50 ე.წ. უკანონო პატიმრის სია წარმოადგინა

მოძრაობის „სოლიდარობა უკანონო პატიმრებს“ ლიდერმა ეკა ბესელიამ კიდევ 50 ე.წ. უკანონო პატიმრის სია წარმოადგინა.

როგორც ბესელიამ გუშინ, სახალხო დამცველის ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, წარმოდგენილ სიაში არიან როგორც პოლიტიკური, ისე სხვა მოტივით დაკავებული ადამიანები.

„შემდგომ, რიგით მე-5 პრეზენტაციაზე, იმ პროკურორების და მოსამართლეების მხილებას დავიწყებ, ვისაც პოლიტპატიმრების დაკავებისა და მათთვის ბრალის დამტკიცების საქმეში მონაწილეობა აქვთ მიღებული“, — განაცხადა ბესელიამ.

### არც აფეთქება, არც მოწყობილობების მწყობრიდან გამოსვლა, მაშ რა?

პოლონეთის გარდაცვლილი პრეზიდენტის ლეხ კაჩინსკის თვითმფრინავის ავიაკატასტროფის გამომწვევი მიზეზი ლაინერის მოწყობილობების დაზიანება ან მის ბორტზე მომხდარი აფეთქება არ ყოფილა.

ამის შესახებ პოლონეთის პრემიერ-მინისტრმა დონალდ ტუსკმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომელზეც ავიალაინერის კატასტროფის გამოძიების პირველი ეტაპის შედეგები გამოაქვეყნა.

მისივე განმარტებით, გამოძიების პირველ ეტაპზე ჩნდება ეჭვები იმის თაობაზეც, რომ სმოლენსკთან 10 აპრილს მომხდარი ავიაკატასტროფა შესაძლოა არა 09:56 საათზე, როგორც ეს თავდაპირველად გაცხადდა, არამედ 15 წუთით ადრე — 09:41 საათზე მომხდარიყო.

— ექსპერტების განცხადებებით, რომლებიც ავიაკატასტროფის მიზეზების დადგენასთან დაკავშირებით რუსებთან ერთად მუშაობდნენ და ამავდროულად, აპარატურების გამოკვლევებით დგინდება, რომ ზოგიერთმა საბორტო მოწყობილობამ მუშაობა 09:41 საათზე შეწყვიტა, — განაცხადა ტუსკმა, თუმცა აქვე დასძინა, რომ „მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ თვითმფრინავის ჩამოვარდნა ზუსტად ამ დროს მოხდა, ჯერჯერობით არ არსებობს“.

გარდა ამისა, პოლონეთის მთავრობის თავმჯდომარის თქმით, წინასწარი ინფორმაციის მიხედვით, შესაძლოა იმის მტკიცება, რომ კატასტროფა ლაინერის მოწყობილობების დაზიანებით ან თვითმფრინავის ბორტზე მომხდარი აფეთქებით არ ყოფილა გამოწვეული.

### მამსუროვი კვლავ ჩრდილოეთ ოსეთის ლიდერია

ჩრდილო ოსეთის პარლამენტმა თაიმურაზ მამსუროვი რესპუბლიკის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დაამტკიცა.

თაიმურაზ მამსუროვი ამ თანამდებობაზე დარჩენას, რუსული მედიის ინფორმაციით, ჩრდილო ოსეთის პარლამენტის 61 დეპუტატმა დაუჭირა მხარი, წინააღმდეგ კი 5 დეპუტატი წავიდა.

მამსუროვი ამ თანამდებობაზე 2005 წლიდან იმყოფება.

ჯი-ეიჩ-ენი

ჩვენ

**პოლიტიკაში** **ორი ეშმაკური ხერხი არსებობს მოწინააღმდეგესთან საბრძოლველად: „დაჰყავი და იბატონე“ და „ეძებე მეგობრები შენი მტრების ბანაკში“. სააკაშვილის ხელისუფლება წარმატებით იყენებს ოპოზიციის მიმართ ამ ეშმაკობებს: თვითონ მუდამ გაერთიანებული („ჩვენ ერთი გუნდი ვართ“), გამუდმებით ქსაქსავს და ათითოპარტიავებს ოპოზიციას. ოპოზიცია კი, თითქოს პოლიტიკისა არაფერი გაეგებოდეს, პირიქით იქცევა: თვითონ მუდამ დაქსაქსული, ეხმარება ხელისუფლებას, რომ ერთიანი იყოს - ერთნაირად ლანძღავს და საბრალდებო სკამით ემუქრება ყველას, ვინც ხელისუფლებაშია, რაც აიძულებს მათ, რომ ერთმანეთთან იდგნენ და საკუთარი თავის გადარჩენა ერთმანეთის გადარჩენაში ეძებონ.**

ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი გოგა ხაინდრავა, მაგალითად, დასჯით ემუქრება ყველას, ვინც ხელისუფლებაში არის და ყოფილა, ისე, რომ საკუთარ თავსაც კი არ ინდობს (ერთადერთი, ვისაც ინდობს, ირაკლი ალასანიაა, რომელიც, მისი გამოთქმით, „არასოდეს გაფარჩაკდება“): **„არაერთხელ მითქვამს და გავიმეორებ: პირველი, რასაც ამ ბანდის მოშორების შემდეგ მოვითხოვ, იქნება გამოძიების დაწყება, სადაც ყველა ჩვენგანის მიერ გადადგმული ნაბიჯები შეისწავლება, შეფასდება და შესაბამისად, დავისჯებით კიდეც! ეს სალომე ზურაბიშვილსაც ეხება, ნინო ბურჯანაძესაც, ირაკლი ოქრუაშვილსაც, ზურაბ ნოღაიდელსაც, გოგა ხაინდრავასაც და სხვებსაც!“** („ასავალ-დასავალი“ № 15, 2010).

მათი დასჯა, ვინც „მამაძაღლ სეთურს“ გაემიჯნენ, გასაგებია. მაგრამ იმათ რა დააშავეს, ვინც დღემდე მას არ გამიჯვნიან, რომ ხსენების ღირსად არ თვლის?! თუმცა, როგორ არა, იმათაც ახსენებს: და **„სომხური და რუსული ინტერესების გატარებას ახორციელებენ მერაბიშვილი, ბენდუქიძე, ბეჟუაშვილები, გილაური და ბანდა იმ ადამიანებისა, რომლებიც ამ ქვეყნის დასაქცევად არიან ხელისუფლებაში მოხვედრილები!“**

კი, მაგრამ უგულავა, ბოკერია, ახალაია და სხვა ქართველები, რომლებიც ამ ქვეყნის აღსაშენებლად არიან ხელისუფლებაში მოხვედრილები, არაფერს აკეთებენ, რომ სომხური (რუსული რა შუაშია?!) ინტერესების გატარება არ განახორციელებინონ ამ „ბანდას“? ხოლო თუ ეს პატიოსანი გვამნი არაფერს აკეთებენ, ამხელა „ხელფასებს“ რაში იღებენ?! თუმცა მთლად უსაქმოდ ხომ არ იქნებიან: უგულავამ, მაგალითად, პირველმა გასცა ბრძანება 2007 წლის 7 ნოემბრის მშვიდობიანი მიტინგის დარბევისა, ბოკერიამ მომიტინგე ხალხის ტანკებით გასრესა მოითხოვა, ახალაიამ ციხის „აჯანყების“ დროს პატიმრები საკნებში ჩაცხრილა...

ყველა უბედურების სათავე, აქამდე რომ სააკაშვილი გვეგონა, თურმე მერაბიშვილი ყოფილა: **„ყველა უბედურების სათავე ამ ქვეყანაში არის მერაბიშვილი! დიახ, ყველა სიბოროტე პირადად მისი ხელმძღვანელობით ხორციელდება!.. დღეს სააკაშვილის ხელისუფლება მზად არის, საკუთარ ხალხს ცეცხლი გაუხსნას. დიახ, ამათთან დაპირისპირება იქნება მძიმე და, სამწუხაროდ, ალბათ, სისხლიანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, ჩვენ მზად უნდა ვიყოთ ამისთვის! გავიმეორებ ათასგზის ნათქვამს: ყველანი უნდა გადავიქცეთ კომბლებად, რათა ეს ბოროტება გავაგდოთ ქვეყნიდან!“**

# ხელისუფლება ოპოზიციას ქსაქსავს, ოპოზიცია ხელისუფლებას აერთიანებს



მაინც რამ გააავა ასე ბ-ნი ხაინდრავა ვანო მერაბიშვილზე? რამ და იმან, რომ ბ-ნ ვანოს თურმე ინტერვიუ მიუცია გაზეთ „კომერსანტისათვის“, სადაც შს მინისტრი დანაშაულში ამხელს გივი თარგამაძეს (და, ავტომატურად, მიხეილ სააკაშვილსაც, ურომლისოდაც „პარლამენტის უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე“ ასეთ თავხედობას ვერ ჩაიდენდა): ცხინვალის ომის დღეებში ის 50 ათას დოლარს სთავაზობდა რუს სამხედროებს გორში სტალინის ძეგლის აფეთქების სანაცვლოდ: **„ვანო მერაბიშვილმა ამ ინტერვიუთი შეურაცხყოფა მიაყენა სრულიად საქართველოს!.. დიახ, მერაბიშვილი არის რუსეთის რეზიდენტი, ეს არის ადამიანი, რომელსაც დავალებად აქვს მიცემული საქართველოს დაშლა-დაქუცმაცება ყველა შესაძლო მეთოდით! ვანო მერაბიშვილს საქართველო ყირგიზეთამდე მიჰყავს! მე ვპირდები ვანო მერაბიშვილს, რომ ამის გამო, მის მიერ ნათქვამ ყველა სიტყვაზე ცხვირს ვარტყმევინებ!.. გივია თარგამაძე ორმოცდაათი ათას დოლარს სთავაზობდა რუსებს საკუთარ ქალაქში ძეგლის ასაფეთქებლადო, ამას რომ კაცი იტყვის, არის კი ნორმალური? ამაზე მეტი გამყიდველობა რაღა გინდა?“**

გოგა ხაინდრავა გივია თარგამაძეს საქართველოსთან აიგივებს. მისი გაგებით, გივიას მხილება („გამყიდველობა“) საქართველოს წინააღმდეგ მიმართული აქტი ყოფილა: **„ეს არის პროვოკატორის მიერ რუსულ სპეცსამსახურებთან ერთად განხორციელებული, მიზანმიმართული, გეგმაზომიერი აქტი“..**

გივია თარგამაძე რომ ნორმალური ვერ იქნება, თავისთავად ცხადია, მაგრამ ნორმალურია თუ არა გივია თარგამაძე, ამაზე ბ-ნი ხაინდრავა არაფერს გვეუბნება. სამაგიეროდ, სააკაშვილის არანორმალურობაზე გადაგვიკრავს სიტყვას, რამეთუ იგი მერაბიშვილის სამართავს ხდის საქართველოს: **„მაგრად მრცხვენია, ისეთ საზოგადოებაში რომ ვცხოვრობ, სადაც შეიძლება მერაბიშვილი წყვეტდეს ქვეყნის ბედს. შიზოფრენიკი და ნარკომანი სააკაშვილი ისეთ დღეშია, რომ სახელმწიფოს დღეს მერაბიშვილი მართავს!“**

რა თქმა უნდა, აჯობებდა, რომ სახელმწიფოს შიზოფრენიკი და ნარკომანი სააკაშვილი მართავდეს, ვიდრე ნორმალური მერაბიშვილი. მით უმეტეს, რომ პირველი არისტოკრატია (მზია ბებიის მხრიდან წერეთელი გახლავთ, ყვავი ჩხიკვის მამიდის მხრიდან კი – „დაჟე“ ბაგრატიონი!), მეორე კი „მდაბიო“: **„დიახ, მერაბიშვილს აქვს პირველკაცობის ამბიცია და ეს არის ჩვენი ქვეყნის კიდევ ერთი დიდი უბედურება! მაგრამ მერაბიშვილი ცინგლიანი, გაყეყეჩებული მდაბიოა! და ჩვენც ვართ გამოქლიავებული საზოგადოება!“**

**ყველაზე დიდი** უბედურება კი ის იქნება, რომ ეს მდაბიო ერთ მშვენიერ დღეს გამოვიდეს და დაგვანახოს თეთრი ზეწრებით ხელფეხშეკრული არისტოკრატი: **„მერაბიშვილს აქვს მთელი ძალაუფლება და ისიც კარგად იცის სააკაშვილმა, ხვალ რომ გამოვიდეს მერაბიშვილი და დაგვანახოს თეთრი ზეწრებით ხელფეხშეკრული სააკაშვილი, მთელი საქართველო ჩვეულებრივ ფაქტად აღიქვამს ამას, რადგან ყველამ იცის, როგორი გიჟიც არის!“**

ო, არა, არა! ნორმალურ მდაბიოს ისევ შიზოფრენიკი არისტოკრატი გვიჯობს: მართლა რომ გამოვიდეს ეს შიზოფრენიკი და ნარკომანი „თეთრი ზეწრებით ხელფეხშეკრული“ დაგვანახოს, მერე სად გარბიხარ?! ხომ დაიღუპა ქვეყანა და ეგ არის!

ინტერვიუერი გიორგი მამაცაშვილი მოკრძალებით შეახსენებს ბატონ ხაინდრავას ერთ მნიშვნელოვან დეტალს: ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, **„მერაბიშვილი 7 ნოემბრის აქციის დარბევის წინააღმდეგი ყოფილაო“..** მაგრამ ბატონი „ოპოზიციონერისათვის“, ჩანს, ეს არაფერს ნიშნავს. მისთვის უფრო მნიშვნელოვანია, რომ მან შეურაცხყოფა მიაყენა გივია თარგამაძეს... უკაცრავად, საქართველოს! გაყიდა იგი (და მასთან ერთად ყველა არამკითხე, ვინც იმ საშინელ დღეებში გორში გენერალ ბორისოვთან დაძვრებოდნენ: ლომაია, უგულავა!): **„ამაზე მეტი გამყიდველობა რაღა გინდა?“**

ჟურნალისტი ჯაბა ხუბუა, ერთადერთი, რომელსაც სწორად გაუგია ხსენებული ყბადაღებული ინტერვიუ, დაფარული მამაძაღლობის გაცხადების გამო, მადლობას უხდის შს მინისტრს: „ვანო, მადლობა!“ (იხ. ამ სათაურით გაზეთის იმავე ნომერში გამოქვეყნებული მისი სტატია). მაგრამ ბატონი „ოპოზიციონერები“, თავიანთი პრეზიდენტივით, ჩანს, გაზეთის იმავე ნომრებსაც არ კითხულობენ, რომლებშიც მათი ინტერვიუები ქვეყნდება.

ყველა-ყველა, მაგრამ რაში ხედავს გამოსავალს გოგა ხაინდრავა? ცხადია, „კომბლებად გადაქცევაში“ ანუ ყირგიზულ ვარიანტში: **„მიუხედავად იმისა, რომ იქ, სამწუხაროდ, სისხლი დაიღვარა, მე ქედს ვიხრი იმ ხალხის წინაშე, ვინც მონობასა და ბატონობას არ შეეგუა! იქ ისეთივე რეჟიმი იყო, როგორიც საქართველოშია, რომელიც საკუთარი კეთილდღეობის სანაცვლოდ მზად იყო, სულიც გაეყიდა, მაგრამ ხალხის მოთმინების ფიალა აივსო და ყირგიზები ქართველებზე უფრო თავდადებულნი, ვაჟკაცნი და მებრძოლნი აღმოჩნდნენ! მძიმეა, მაგრამ დგება ხოლმე მომენტი, როცა ადამიანმა უნდა აირჩიოს - ან ღირსება, ან მონობა! ყირგიზმა ხალხმა ღირსება აირჩია! დღეს სააკაშვილის ხელისუფლება მზად არის, საკუთარ ხალხს ცეცხლი გაუხსნას. დიახ, ამათთან დაპირისპირება იქნება მძიმე და, სამწუხაროდ, ალბათ, სისხლიანი, მაგრამ გავიმეორებ ათასგზის ნათქვამს: ყველანი უნდა გადავიქცეთ კომბლებად, რათა ეს ბოროტება გავაგდოთ ქვეყნიდან!“**

რა თქმა უნდა, კომბალიც საშუალებაა, მაგრამ კომბლის მოქნევას ხომ ძალა უნდა?! ჩვენმა „მემორატორიუმე“ ვაი-ოპოზიციამ ისე გადაღალა ფუჭი მიტინგებით ხალხი, რომ კომბლის მოქნევის თავიც აღარ აქვს. საერთოდ კი, არა მგონია, რომ 20-გრადუსიან ყინვაში იპოდრომზე გატყუებული და „ღვინის დასალევად“.

იხ. 6 გვ.

პროგნოზი

# კისერს კი მოიტეხენ, მაგრამ თავისით?!

(მესამე გვერდიდან) ყველა ეს ფაქტი (კიდევ ბევრი სხვაც), ჩამოყალიბებული გამართულად იურიდიულ ენაზე, უნდა დაეგზავნოს ჰააგას, სტრასბურგს, გაეროს, ევროკავშირს, წამყვანი სახელმწიფოების მეთაურებს და მათგან (პირველ რიგში, ამერიკისგან) მოვითხოვოთ ქმედითი პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმა. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ იმაში, რაც ჩვენ გვჭირს, ლომის წილი ბრალისა სწორედ მათ მიუძღვით – რომ არა მათი პოლიტიკური და ფინანსური მხარდაჭერა ამ რეჟიმისა, რომ არა თვალის დახუჭვა ამ რეჟიმის მიერ ჩადენილ უამრავ კრიმინალზე, ერთ დროს ყველაზე აყვავებული რესპუბლიკა ამ დღეში არ ჩავარდებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, პასუხისმგებლობა იმაზე, რაც ადვილი შესაძლებელია ახლო მომავალში მოხდეს საქართველოში, მთლიანად მათ დაეკისრებათ. დაეკისრებათ იმიტომ, რომ **პრობლემის მშვიდობიანად(!) მოგვარების ბერკეტები სწორედ მათ უპყრიათ ხელთ და ამ ბერკეტების ამოქმედება სურვილის შემთხვევაში ისეთივე ადვილია მათთვის, როგორც საქართველოს მთლიანობის აღდგენა — რუსეთისთვის!** (დიპლომატიური პასუხი – „ჩვენ სხვის საქმეებში არ ვერევით“, მხოლოდ „რესპუბლიკელებისთვის“ თუ გამოდგება, როგორც „თავისუფლების ინსტიტუტის“ კადრებით დაკომპლექტებული პარტიისთვის!).

მხოლოდ ერთი სამართლიანი ნაბიჯი – სააკაშვილის რეჟიმისთვის მხარდაჭერის შეწყვეტა, საკმარისი გარანტია იქნება საქართველოში ხელისუფლების მშვიდობიანი გზით შესაცვლელად – ვადამდელი არჩევნების (საპრეზიდენტო და საპარლამენტო) ჩასატარებლად.

მშიერი და გაბოროტებული, ქონება-სამართალ-მიწა-წყალ წართმეული ხალხი, ადრე თუ გვიან, ყველას თავისას მიუზღავს, რა ფასადაც არ უნდა დაუჯდეს ეს მას. მერე გონს მოსვლა და სინანული (შესაძლოა, ზოგიერთებისა გულწრფელიც!) – საქართველოს დახმარება დავუგვიანეთო, გვიანი იქნება. ასეთი ვარიანტი მოვლენების განვითარებისა, არავისთვის არ უნდა იყოს მისაღები.

ადამიანი იმედითაა ყოველთვის და ჩვენც ნუ მოგვიშალოს იმედი ღმერთმა, მაგრამ ეს ოხერი ეჭვის ჭიაც არ გვასვენებს მუდმივად (განსაკუთრებით, ბოლო წლებში) – ჩვენს ასეთ ყოველნაირად გაჭირვებულ მდგომარეობას და უკან–უკან სვლას რომ უყურებენ დასავლეთში და არავითარ ზომებს არ იღებენ მათივე დასმული ხელისუფლების შესაცვლელად, იქნებ, სწორედ აქეთკენ გვიბიძგებენ ჩვენნაირ ეროვნულ სახელმწიფოებზე „მაფიქრალნი“, ჰაა?!

„მე არ მინდა ვიყო მონა და არც მონათმფლობელობას ვისურვებდი. ეს გამოხატავს ჩემს გაგებას დემოკრატიისას“, „მოდით ვირწმუნოთ, რომ ძალა სიმართლის მხარესაა, და ეს რწმენა დაგვეხმარება შევასრულოთ ჩვენი ვალდებულება“, ეს ამერიკის პრეზიდენტის ლინკოლნის სიტყვებია, მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში თქმული. მან იცოდა, რომ ძალა ბოროტების მხარესაა (სამწუხაროდ!) და არა – სიკეთის, და ამიტომაც ამბობდა „მოდით ვირწმუნოთ“, კარგად აცნობიერებდა რა იმას, რომ **როცა არის რწმენა(!), როცა არსებობს ერთსულოვნება მაშინაა ძალა სიმართლის მხარეს, მხოლოდ მაშინ სძლევს ბოროტებას სიკეთე!**

ამ რწმენის ჩასახვას, ხალხის ერთად შეკვრას კი ერზე მაფიქრალი, პატიოსანი და გაბედული, ჭეშმარიტი მამულიშვილი სჭირდება წინამძღოლად. სამწუხაროდ, ასეთი გამოკვეთილი ლიდერი, ჯერჯერობით, არ ჩანს.

**იაკობ ლეჟავა**

◎ შემოქმედებითი კავშირი

**ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი არსებობის ნახევარ საუკუნეზე მეტს ითვლის. წლების განმავლობაში იგი აერთიანებდა პრესისა თუ ტელევიზიის ჟურნალისტებს, რომლებიც ტრადიციისამებრ საქართველოში ჟურნალისტიკის განვითარებას უწყობდნენ ხელს. ამ კავშირს მნიშვნელობა დღესაც არ დაუკარგავს, რადგან ჟურნალისტიკა უამრავი პრობლემის წინაშე დგას. გვესაუბრება ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე ჰამლეტ გეგია.**



# თანადგომა ჟურნალისტებსაც სჭირდებათ

— ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა და ჩვენი საქმიანობის მიმართულება, სიტყვის თავისუფლების დაცვის პრინციპიდან გამომდინარე, ჟურნალისტისა და რედაქციის დამოუკიდებლობის შენარჩუნებაა, — ამბობს ბატონი ჰამლეტი. ამისთვის საჭიროა ადგილობრივი და საერთაშორისო მექანიზმების ამოქმედება, რაც თავისთავად, გარკვეული სამართლებრივი საფუძვლების შექმნასაც გულისხმობს.

ჩვენ მრავლად გვყავს ყოფილი ჟურნალისტები, რომლებიც ამჟამად პარლამენტში მოღვაწეობენ. მათთან საუბრისას იმედი გამიჩნდა, რომ შესაძლებელია საქართველოში ერთხელ და სამუდამოდ გადაწყდეს ჟურნალისტების სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და შემოქმედებითი დამოუკიდებლობის დაზღვევის პრობლემები. გადასახედია არსებული კანონი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ, რომელიც ვერ აწესრიგებს ჟურნალისტის რედაქტორთან, ან მედიამფლობელთან ურთიერთობას. მნიშვნელოვანია თვითრეგულირება, რაც პროფესიონალიზმის ამაღლებას შეუწყობს ხელს.

**— თქვენი აზრით, რა არსებითი პრობლემები აქვს დღეს ქართულ მედიას?**

— უპირველესად, ეს არის მოსახლეობის დაბალი მსყიდველუნარიანობა, და აქედან გამომდინარე, ჟურნალ-გაზეთების დაბალი ტირაჟი, რაც გამოწვეულია ქვეყანაში საშუალო ფენის არარსებობით. მედიაბაზარზე არსებული პრობლემების გამო მოქმედი გაზეთების უმრავლესობა წამგებიანია. და ეს მარტო პროფესიონალიზმის ნაკლებობის ბრალი არ არის.

ევროპის ცივილიზებულ ქვეყნებში დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, სიტყვის თავისუფლებასთან ერთად, პრესის ნაირფეროვნებაა. ამის გარდა, სახელმწიფოც ეხმარება პრესის დამოუკიდებლობის მხარდამჭერ ფონდებს, რომ მოხდეს მისი სუბსიდირება.

საქართველოს მედიასივრცის მთავარ პრობლემად, დამოუკიდებლობის ნაკლებობასთან ერთად, მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა რჩება, რომელიც, რა თქმა უნდა, ჟურნალისტებზეც ახდენს გავლენას. სამწუხაროდ, ამ მხრივ ჩვენთან სერიოზული პრობლემებია. ამასთან, ვისაც არ ეზარება და სურვილი უჩნდება, ჟურნალისტებს შეურაცხყოფას აყენებს, განსაკუთრებით არჩევნებისა და სოციალური დაძაბულობის პირობებში. მსგავსი ფაქტების აღსაკვეთად საჭიროა არა მარტო საზოგადოების (რომელშიც პოლიტიკური პარტიებიც იგულისხმება), კულტურის ამაღლება, არამედ არსებული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად ამოქმედებაც.

**— რა ნაბიჯებს დგამს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი ჟურნალისტის პროფესიის დაფასებისთვის, პრობლემების აღმოსაფხვრელად?**

— უკანასკნელ პერიოდში ჩვენმა კავშირმა პრაქტიკულ შედეგებს მიაღწია. ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი, რაც გაკეთდა, ისაა, რომ შეიქმნა თანამედროვე ევროპული ტექნოლოგიებით აღჭურვილი ოფისი, რომელიც მოწყობილია უახლესი ციფრული აპარატურით. ჟურნალისტებს აქვთ არა მარტო ჟურნალისტთა ახალი სახლი, რომელიც განთავსებულია „მზიურის“ ტერიტორიაზე, არამედ — ჟურნალისტთა ხეივანიც, სადაც გადმოტანილია ალექსანდრე (საშა) იოსელიანის ძეგლი და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულ ჟურნალისტთა მემორიალური დაფა.

უახლოეს პერიოდში ჟურნალისტთა ხეივნის ტერიტორიაზე იგეგმება მემორიალური კომპლექსის, უახლესი ქართული ჟურნალისტიკის ისტორიის მუზეუმის აგება. მალე დასრულდება ჟურნალისტთა მომზადება-გადამზადების ცენტრების შექმნის პროცესი და მათ მიენიჭებათ საერთაშორისო სერტიფიკატები.

ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პროექტის საფუძველზე შეიქმნა ახალგაზრდა ჟურნალისტთა პრესკლუბი „მულტიმედია“, რომელიც 100-ზე მეტ ახალგაზრდა ჟურნალისტს აერთიანებს. ისინი ძალიან საინტერესო პროექტებს ახორციელებენ.

ჩვენი მომავლის გარანტიაა არა მარტო ეკონომიკური აღმავლობა და სახელმწიფოს უსაფრთხოებაზე ზრუნვა, არამედ იმ ადამიანების პატივისცემაც, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქვეყნის განვითარების საქმეში. აქვე — ჟურნალისტიკის სფეროც, ამიტომ უახლოეს პერიოდში იწყება ქართული უახლესი ჟურნალისტიკის ისტორიის შესახებ მასალების მოგროვება, რომელსაც ექნება მრავალფეროვანი და მრავალენოვანი ელექტრონული ვერსია, იქნება, ასევე, სასწავლო და ენციკლოპედიური ხასიათიც ექნება.

უახლოეს პერიოდში აუცილებლად დაწესდება აფხაზეთსა და სამაჩაბლოში დაღუპულ ჟურნალისტთა სახელობის პრემიები, მათი მოღვაწეობის უკვდავსაყოფად, ასევე უკრაინაში მოკლული ქართველი ჟურნალისტის გიორგი ღონღაძის სახელობის პრემია და საერთაშორისო ფონდი, რომელიც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს როგორც უკრაინელი და ქართველი ჟურნალისტების, ასევე ხალხის ურთიერთობას.

**— სავარაუდოა, რომ ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის პრემიები რამდენიმეწლიანი შესვენების შემდეგ ისევ გადაეცათ ჟურნალისტებს...**

— ეს ღვაწლმოსილი ჟურნალისტების ამაგის დაფასება და მათ შემოქმედებით-პროფესიული საქმიანობის ხელშეწყობაა. როგორც ჩვენი კოლეგებისთვის ცნობილია, ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა ჯერ კიდევ 1995 წლის 21 მარტს (ამიერკავკასიაში პირველი ქართული გაზეთის — „საქართველოს გაზეთის“ გამოშვების თარიღიძ ნიკო ნიკოლაძისა და სერგეი მესხის პრემიები დააარსა. არსებული ქარტეხილების პერიოდში ჟურნალისტთა შემოქმედებითმა კავშირმა სერიოზული ფინანსური და მატერიალური ზარალი მიიღო და პრემიების გაცემაც შეწყდა.

ამის მიუხედავად, მერიის სერიოზული მხარდაჭერის საფუძველზე, დავიწყეთ გააქტიურება, რეორგანიზაცია და ჟურნალისტებისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება. აღვადგინეთ პრემიებიც. სამწუხაროდ, ამჯერად ძალიან ბევრი ღირსეული ჟურნალისტი დარჩა ამ ჯილდოს გარეშე. კომისიამ შეარჩია საუკეთესოები. შემდგომში აუცილებლად გავითვალისწინებთ იმ ხარვეზებს, რაც ამ პროცესში გამოვლინდა.

**— ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ინიციატივით მოხერხდა ჟურნალისტთა დაზღვევაც...**

— ყოველთვის მიმაჩნდა, რომ სრულყოფილი პროფესიული საქმიანობისთვის ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების გარანტიებს მთავარი ადგილი უკავია. ამიტომ თბილისის მერიის სერიოზული მხარდაჭერით მოხერხდა ჟურნალისტების ჯანმრთელობის დაზღვევა, რომლის მოცულობამ საკმაოდ სოლიდურ თანხას მიაღწია და თითქმის ყველა სახის უფასო სამედიცინო მომსახურებას ითვალისწინებს.

დავუკავშირდით თითქმის ყველა ტელევიზიის და პრესის წარმომადგენელს, თუმცა მათი უმრავლესობა უკვე დაზღვეული იყო. ძირითადად, დაუცველი აღმოჩნდნენ ვეტერანი ჟურნალისტები და ისინი, რომლებიც ამჟამად დევნილის სტატუსით ცხოვრობენ. გადმოცემული სიებიდან თითქმის ყველა იქნა დაზღვეული. მერიის მხარდაჭერით განხორციელა ეს უმნიშვნელოვანესი პროექტი. დაზღვევის პოლისი გადაეცა ასევე ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის 150-ზე მეტ წევრს.

**— რა სჭირდება ჟურნალისტთა შემოქმედებით კავშირს უფრო ეფექტიანი საქმიანობისთვის?**

— საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირი უნდა იყოს და არის დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რაც კანონითაც გარანტირებული აქვს სახელმწიფოს მხრიდან. არავის აქვს უფლება, ჩაერიოს ჟურნალისტთა საქმიანობაში, რომლისთვისაც ძვირფასია საკუთარი პროფესიონალიზმი, ავტორიტეტი საზოგადოებაში და თავისუფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ვერ შევქმნით ღირსეულ ჟურნალისტიკას, ურომლისოდაც შეუძლებელია საზოგადოების განვითარება.

ჩვენს სახელისუფლებო შტოებში, საბედნიეროდ, არიან პატიოსანი, წესიერი საჯარო პირები, ვინც კეთილსინდისიერად ემსახურება ხალხის ინტერესებს. მერიასთან საქმიანი ურთიერთობები გვაკავშირებს, რამაც რეალური შედეგები გამოიღო, შემიძლია ობიექტურად გამოვხატო მათ მიმართ მადლიერება. უპირველეს ყოვლისა, საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის სახელით მადლობას ვუხდი გიგი უგულავას, მამუკა ახვლედიანს, ნიკოლოზ ხაჩიშვილს, მამუკა ქაცარავას, შოთა მაღლაკელიძეს, ნანა გიორგაძეს, და ყველას, ვინც სიყვარულით, პატიოსნად, კეთილსინდისიერად ემსახურება თბილისსა და თბილისელებს...

**ინტერვიუს პროცესში ცნობილი ჟურნალისტი დოდო იორდანიშვილიც შემოგვიერთდა, რომელმაც დიდი სიამოვნებით გამოხატა პოზიცია ჟურნალისტების დაზღვევასთან დაკავშირებით.**

**— უფროსობის, პრეზიდენტობის პროფესია არ არსებობს, ამ პროფესიას ხალხის სიყვარული ჰქვია. უნდა გაღელვებდეს კოლეგების, თანამშრომლის ბედი თუ უბედობა. და გქონდეს სულიერი მოთხოვნილება, იზრუნო მათს კეთილდღეობაზე თუ სოციალურ უზრუნველყოფაზე.**

**როცა ამის უნარი გაქვს, ამას რა პროფესია შეედრება. ამიტომ ძალიან მადლობელი ვარ ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირისა და ქალაქის მერიისა, რომ ასეთი შესანიშნავი საჩუქარი გაგვიკეთეს.**

ესაუბრა
**ანა წიწილაშვილი**

◎ საზოგადოებას აინტერესებს

# აღდგება თუ არა უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის მიერ დაარსებული ისტორიის ფაკულტეტი?

**22 აპრილს უნივერსიტეტის ეზოში ჩვენი დიდი მოძღვრის ივანე ჯავახიშვილის ძეგლი, მეცნიერის დაბადების დღის აღსანიშნავად, უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა გია ხუბუამ და აკადემიკოსმა მარიამ ლორთქიფანიძემ ყვავილებით შეამკეს. ბატონმა გია ხუბუამ იქვე განაცხადა, რომ 15 წლის წინათ გაუქმებული ივანე ჯავახიშვილის სახელობის საუნივერსიტეტო პრემია აღვადგინეთო. მისასალმებელი გადაწყვეტილებაა.**

ამ ფაქტმა ერთი მტკივნეული საკითხი მომაგონა. მაგრამ, ვიდრე მას შევეხებოდე, წინასწარ ვიტყვი, რომ ამ საქმეში ბატონ გია ხუბუას არ ვადანაშაულებ. მე, ბრალს ვდებ იმ „რეფორმატორებს“, რომლებმაც დანაშაული ჩაიდინეს. საქმე ეხება ივანე ჯავახიშვილის მიერ დაფუძნებულ უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტის გაუქმებას და მის მიერ ფაკულტეტებთან გაერთიანებას. „რეფორმატორებმა“ ამით ერთხელ კიდევ შეურაცხყვეს ერის დიდი მეისტორიის ივანე ჯავახიშვილის სახელი. სამწუხაროდ, მაშინ ამ საქმეს ქომაგები არ გამოუჩნდნენ.



რეპრესიები ივანე ჯავახიშვილის მოღვაწეობის წინააღმდეგ წინა საუკუნეში დაიწყო და ახალ, 21 საუკუნეშიც გაგრძელდა. მივყვეთ ყველაფერს თანამიმდევრობით:

1918 წლის 26 იანვარს, თბილისში ივანე ჯავახიშვილის ინიციატივით საზეიმოდ გახსნეს უნივერსიტეტი.

1919 წლის 17 დეკემბერს პროფესორთა საბჭომ ივანე ჯავახიშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორად აირჩია. 1926 წლის 21 ივნისს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტის რექტორის თანამდებობიდან გაათავისუფლეს.

1931 წელს ივანე ჯავახიშვილი უნივერსიტეტიდან დაითხოვეს.

1936 წლის მარტში, უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის წინააღმდეგ ოთხდღიანი დისკუსია მოაწყვეს, რომელზეც „თავი გამოიჩინეს“ ანტიჯავახიშვილისტებმა: კ. ორაგველიძემ, ი. ტალახაძემ, გ. სოსელიამ, ა. ჯინჭველაშვილმა, ა. გეგენავამ და სხვებმა. ამ შეურაცხმყოფელ დისკუსიას თვითონ ივანე ჯავახიშვილი არ დაასწრეს. ქართულმა ისტორიოგრაფიამ ეს ყველაფერი საბჭოურ წყობას, კომუნისტებსა და კომკავშირლებს დააბრალა.

ახლა კი უნივერსიტეტში ისტორიის ფაკულტეტის გაუქმებაზე ხმა არავის არ ამოუღია. საზოგადოებას აინტერესებს, აღდგება თუ არა უნივერსიტეტში ივანე ჯავახიშვილის დროს დაარსებული ისტორიის ფაკულტეტი?! თუ აღდგება, ეს იქნება ჭეშმარიტი დაფასება და აღიარება დიდი მამულიშვილისა.

**დურმიშხან ცინცაძე**

მსოფლიო ფორუმი

# სანქტ-პეტერბურგში საქართველოს მომავალზე მსჯელობდნენ



**23-24 აპრილს რუსეთის ჩრდილოეთ დედაქალაქად წოდებულ სანქტ-პეტერბურგში ჩატარდა საქართველოს ხალხთა დიასპორების მსოფლიო ფორუმი. ფორუმის ორგანიზატორი იყო პეტერბურგელი ბიზნესმენი ალექსანდრე ებრალიძე, რომელმაც შარშან ქართულ პოლიტიკაში აქტიურად ჩართვის სურვილი გამოთქვა.**

ღონისძიებას ესწრებოდა 270-ზე მეტი დელეგატი და ასეულობით სტუმარი მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან, მათ შორის ევროკავშირის წევრი ქვეყნებიდან, აშშ-დან, რუსეთიდან და, რა თქმა უნდა, საქართველოდან. მონაწილეთა შორის იყვნენ კულტურის მოღვაწეები, ჟურნალისტები, სასულიერო პირები. ფორუმის მუშაობაში ჩაერთვნენ ქართული ოპოზიციური პარტიების ლიდერებიც, კერძოდ, კოზა დავითაშვილი და კახა კუკავა.

საქართველოს ხალხთა დიასპორების მსოფლიო ფორუმმა მიიღო რამდენიმე საინტერესო გადაწყვეტილება, რომლებიც მნიშვნელოვანი შეიძლება აღმოჩნდეს, თუ რეალურად განხორციელდა. მათ შორის არის საერთაშორისო სადამკვირვებლო (საარჩევნო მონიტორინგისძ ორგანიზაციის შექმნა, საქართველოს ხალხთა დიასპორების საკოორდინაციო საბჭოს დაფუძნება და ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური დიალოგის გააქტიურება ეთნიკურად შერეული სამუშაო ჯგუფების ჩამოყალიბების გზით.

არჩევნების რეალური მონიტორინგი ის ყბადაღებული და „დაწყევლილი“ თემაა, რომელიც აგერ უკვე 15 წელია თან სდევს ქართულ პოლიტიკას. გაყალბების ტექნოლოგიები ჩვენში მუდმივად წინ უსწრებს არჩევნების სამართლიანობის და დაცვის ტექნოლოგიებს. ამასთან, გაყალბება სულ უფრო „დახვეწილი“ ხდება და პრიმიტიული „კარუსელების“ დატრიალებიდან ინაცვლებს ადმინისტრაციული რესურსის უფრო ადრეულ, წინასაარჩევნო ეტაპებზე გამოყენებისკენ. ასე რომ, არჩევნები უკვე „მოპარული“ გამოდის ჯერ კიდევ იქამდე, სანამ საარჩევნო უბნები გაიხსნება და პირველი ბიულეტენი ურნაში მოხვდება. საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიები, რომლებიც ევროკავშირის, ღსთ-ს თუ სხვა ორგანიზაციების ეგიდით მოქმედებენ, არ ან ვერ ებრძვიან ეფექტურად ამ მოვლენას. ასე რომ, მრავალრიცხოვანი, მობილიზებული, კარგად დაფინანსებული ორგანიზაციის არსებობა, რომლის წევრებსაც უმაღლეს დონეზე ექნებათ გავლილი ტრენინგები, მათ შორის ევროპის ქვეყნებში და დაეუფლებიან საარჩევნო კანონმდებლობის ყველა ნიუანსს, სერიოზულ წვლილს შეიტანდა გაყალბებისგან თავის დაცვის პროცესში. რაც მთავარია, ამგვარი ორგანიზაციის ხელმძღვანელობას უნდა გააჩნდეს პოლიტიკური ნება, რომ რეალურად აღკვეთოს არჩევნების ფალსიფიცირება ნებისმიერ ეტაპზე.

საყურადღებო ინიციატივაა ქართულ დიასპორათა საკოორდინაციო საბჭოს შექმნის იდეა. იგი ხალხის პარტიის ლიდერს ეკუთვნის და თავის გამოსვლაში ფორუმზე კ. დავითაშვილმა პარალელი გაავლო სომხური და ქართული დიასპორების მოღვაწეობის შედეგებს შორის. ცხადია, რომ ქართული დიასპორის მიღწევები ბევრად უფრო მოკრძალებულია. ეს გასაგებიცაა ისეთ ქვეყანაში, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები, რადგან სომხური დიასპორა იქ გაცილებით მრავალრიცხოვანი, მდიდარი და გავლენიანია ტრადიციულად, ქართულთან შედარებით, მაგრამ იგივეს ვერ ვიტყვით, მაგალითად, რუსეთზე. ქართველებს არანაკლები რაოდენობის, თუ მეტის არა, ცნობილი პიროვნება, კულტურის მოღვაწე, ბიზნესმენი, ექიმი და ა.შ. გვყავს რუსეთში, ვიდრე ჩვენ მეზობელ ერს, თუმცა ქართული დიასპორის საქმიანობა ფაქტობრივად სამშობლოში ფულის გამოგზავნით ამოიწურება. არავინ დავობს იმაზე, რომ ამით რუსეთში მცხოვრები ქართველები უამრავ ოჯახს ინახავენ საქართველოში, მაგრამ დღევანდელ პირობებში ეს უკვე აშკარად არასაკმარისია, მით უმეტეს, აგვისტოს ომის შემდეგ, როცა რეალურად დადგა საქართველოს საბოლოო დაშლის და დანაწევრების საფრთხე. ამ საფრთხის თავიდან აცილებაში რუსეთში მცხოვრებმა ქართველებმა თავისი სერიოზული წვლილი უნდა შეიტანონ. ერთგვარი საკოორდინაციო საბჭოს შექმნა კი დიასპორების საქმიანობის გაძლიერების და მოღვაწეობის სფეროების გაშლის შესაძლებლობას ქმნის, თუკი ეს იდეა რეალურად განხორციელდება.

ამ კონტექსტში დადებით ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს ქართულ-აფხაზური და ქართულ ოსური შერეული სამუშაო ჯგუფების შექმნის ინიციატივაც. მართალია, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული გამთლიანების საკითხი არა იმდენად საქართველოში წყდება, მაგრამ მაინც აუცილებელია და ძალზე მნიშვნელოვანი, რეალური დიალოგის დაწყება აფხაზურ და ოსურ საზოგადოებასთან. აქამდე ეს დიალოგი ფაქტობრივად არ მიდიოდა, ან ამოიწურებოდა ჟენევაში თუ საზღვარგარეთის სხვა ქალაქებში ცალკეული პირების პერიოდული შეხვედრებით კონფლიქტების მონაწილე მხარეებიდან. არანაირი შედეგი ამ შეხვედრებს არ ჰქონდა, და ეს არც უნდა იყოს გასაკვირი, თუ გავიხსენებთ, რომ ისინი მიმდინარეობდა საქართველოს ხელისუფლების აგრესიული და ანტირუსული რიტორიკის ფონზე, რასაც ქართული მხარის წარმომადგენლები სათანადო შეფასებას ვერ აძლევდნენ, რადგან ბევრი მათგანი თავადაც ანტირუსული და პროამერიკული განწყობებით გამოირჩეოდა.

ეს რაც შეეხება მსოფლიო ფორუმზე მიღებულ გადაწყვეტილებებს, მაგრამ მოკლედ შევჩერდეთ ზოგადად საქართველოში არსებულ სიტუაციაზე და ქვეყნის წინ მდგარ გამოწვევებზე. დღევანდელი ხელისუფლება ამკვიდრებს აზრს, რომ ის არის „პროდასავლური“, ხოლო ოპოზიცია კი „პრორუსული“, რომელიც ებრძვის არა სააკაშვილის ხელისუფლებას, არამედ საქართველოს დამოუკიდებლობას, სურს პუტინს ჩააბაროს ქვეყანა, თბილისში, პარლამენტის თავზე აღმართოს რუსული დროშა, შემოიყვანოს რუსული ტანკები და ა.შ. ამ პროპაგანდის მსხვერპლი გახდა მოსახლეობის გარკვეული ნაწილი, განსაკუთრებით ის, რომელიც ნებსით თუ უნებლიეთ ენდობა სატელევიზიო არხებს. ქართული ოპოზიციის ცალკეული წარმომადგენლების დასწრებამ პეტერბურგში გამართულ ფორუმზე კიდევ ერთხელ მისცა საშუალება ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათ სატელიტ ჟურნალისტებს, ალაპარაკებულიყვნენ „მოღალატეებზე“ და „რუსეთის აგენტებზე“. სინამდვილეში კი რასთან გვაქვს საქმე?

ყოველ დეტალს მნიშვნელობა აქვს და ჩვენი აზრით, სიმბოლურია ის ფაქტი, რომ ალ. ებრალიძე მოღვაწეობს სანქტ-პეტერბურგში, რუსეთის ყველაზე ევროპულ ქალაქში, რომელშიც ისტორიული ცენტრი აგებულია ძირითადად ევროპელი არქიტექტორების მიერ. ებრალიძის მიერ პირვანდელი სახით აღდგენილი სასახლეებიც ამ პერიოდს მიეკუთვნება. ერთ-ერთ ამგვარ სასახლეში, რომელშიც დღეს უმაღლესი დონის სასტუმრო მდებარეობს, ჩატარდა კიდეც დიასპორათა ფორუმი. მიღებულ დეკლარაციაში ერთ-ერთ პუნქტად, რუსეთთან სტრატეგიული ურთიერთობის დამყარებასთან ერთად, საქართველოს ევროკავშირში შესვლის მიზანია დაფიქსირებული. ეს ძალზე მნიშვნელოვანი მომენტია, რომელსაც ყურადღება უნდა მიექცეს. დღეს უკვე შეიქმნა სიტუაცია, როცა პოლიტიკურ ძალთა გადანაწილება საქართველოში ხდება არა **„პროდასავლურ-პრორუსულ“ გამყოფ ხაზზე**, როგორც ამას ხელისუფლების პროპაგანდა გაჰკივის, არამედ **„პროქართულ-ანტიქართულ“ ხაზზე**. უფრო ზუსტად, სააკაშვილის ხელისუფლება არის არა პროდასავლური თავისი არსით, არამედ წარმოადგენს ჯორჯ ბუშის ეპოქის პროდუქტს, მახინჯად პროამერიკულს, ანტირუსულს და თავისი არსით ანტიქართულსაც. ახლა კი იკვეთება იმის კონტურები, რომ ქვეყანაში შეიქმნას და გამოიკვეთოს პროქართული, მაგრამ ამავე დროს „პრორუსული“ და „პროევროპული“ ძალები. ოღონდ ეს არ ნიშნავს „ანტიამერიკულობას“. თავად ებრალიძე თავის გამოსვლებში მუდმივად ხაზს უსვამს ამ მომენტს.

მოსახლეობის ნაწილს, რომელიც მოექცა სააკაშვილის რეჟიმის მიერ გაჩაღებული ტელეპროპაგანდის გავლენის ქვეშ, ვერ წარმოუდგენია, როგორ შეიძლება პროქართულობა, ანუ ქვეყნის ინტერესების დაცვა, შეეთავსოს „პრორუსულობას“, ან როგორ შეიძლება „პრორუსულობა“ და „პროევროპულობა“ ერთად არსებობდეს. სინამდვილეში აქ არავითარი წინააღმდეგობა არ არის. რუსეთსა და საქართველოს აქვთ თანხვედრი ინტერესები, რომელთა შეჯერება სრულიად შესაძლებელია და სააკაშვილის შემდეგ მოსულმა პრაგმატულმა ხელისუფლებამ ეს უნდა გააკეთოს კიდეც. ასევე საერთო ინტერესები აქვთ რუსეთს და ევროკავშირს. საინტერესოა, რომ სწორედ იმ დროს, როცა პეტერბურგში მიმდინარეობდა დიასპორათა მსოფლიო ფორუმი, რუსეთის პრემიერ-მინისტრმა პუტინმა ავსტრიაში ხელი მოაწერა ამ ქვეყანასთან გაზსადენის, ე.წ. „სამხრეთის ნაკადის“ მშენებლობის ხელშეკრულებას, რითაც ყველა ქვეყანამ თანხმობა მისცა ამ პროექტის განხორციელებას. მეორე დღეს კი პუტინი უკვე იტალიას სტუმრობდა, თავის მეგობარს და ევროკავშირის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან პოლიტიკოსს, სილვიო ბერლუსკონის. უფრო მეტიც, მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში, სხვადასხვა ქვეყნებს, რომლებიც წინათ იდეოლოგიური წინააღმდეგობებით გამოირჩეოდნენ, ბევრი საერთო ფასეულობაც გაუჩნდათ, თუმცა არა ყველა. ამგვარად, იმის მტკიცება, რომ სააკაშვილის მიერ „რეფორმირებული“ თუ დეფორმირებული საქართველო უფრო „ევროპული“ ქვეყანაა, ვიდრე რუსეთი, ან თბილისი უფრო ევროპული ქალაქია, ვიდრე, ვთქვათ, პეტერბურგი, სრული აბსურდია. სინამდვილეში, სააკაშვილის და მისი ხელისუფლების მიმართ დღეს დასავლეთ ევროპაში უფრო ნეგატიური და ფრთხილი დამოკიდებულებაა, ვიდრე პუტინის მიმართ, რაც უნდა გასაკვირი იყოს ეს მავანთათვის. ეს ყველაფერი კი მომავალში თავის სიტყვას იტყვის საქართველოს საგარეო ორიენტაციის განსაზღვრის საქმეში.

**გიორგი ვეკუა,**
**ევრაზიის ინსტიტუტი**

ჩვენ

# ხელისუფლება ოპოზიციას ქსაქსავს, ოპოზიცია ხელისუფლებას აერთიანებს

(მეოთხე გვერდიდან)

სახლებში გაშვებული 300 ათასი ქართველი ყირგიზებზე უფრო თავდადებულნი, ვაჟკაცნი და მებრძოლნი იყვნენ. თუმცა ამით იმის თქმა არ მინდა, რომ ყირგიზებს დავუკარგოთ ვაჟკაცობა. ასეა თუ ისე, ოპოზიციის „ვაჟკაცობით“, საქართველოში დღეს ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ სხვა გზა უნდა მოიძებნოს ქვეყნის ხსნისა. ეს გზა კი ხელისუფლების წარმომადგენლებისავე ხელით ჩვენი საერთო დამღუპველი პრეზიდენტის „თეთრი ზეწრებით ხელფეხის შეკვრაშია“! ეს არის ერთადერთი უკომბლო და უსისხლო გზაც იმისა, რომ „ეს ბოროტება გავაგდოთ ქვეყნიდან“. რაც შეეხება ვანო მერაბიშვილს, კარგი იქნება თუკი იგი ამის შემდეგაც დარჩება შს მინისტრად, რადგან ერთადერთი სახელმწიფო ორგანო, რომელიც ნორმალურად ფუნქციონირებს ქვეყანაში, ეს მისდამი დაქვემდებარებული პატრულია, ხელს რომ არ უშლიდნენ მის კანონიერ ფუნქციონირებას ვილაცვილაცების უკანონო ბანდფორმირებები, რომლებიც, პატრულის სახელით, მშვიდობიანი მიტინგიდან სახლში მიმავალ დაღლილ, მშიერ ადამიანებს ლაჩრულად გზაში უხვდებიან და სცემენ და არბევენ. მთავარი ბოროტება კი ის არის, როდესაც შს სამინისტროსა და პოლიციის უფლებები უზურპირებული აქვს პრეზიდენტს, რომელიც მათ, საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის ნაცვლად, პირადი ინტერესების დასაცავად იყენებს. ნორმალურ ქვეყნებში პოლიცია მუნიციპალიტეტს ექვემდებარება და არა მთავრობას, და მთავრობის ცვლილება პოლიციის ცვლილებას არ იწვევს.



ამ თვალსაზრისით, საინტერესოა გაზეთ „საქართველო და მსოფლიოში“ გამოქვეყნებული სტატიის – „ვანო მერაბიშვილი პრეზიდენტს პოლიტიკურ სამარეში არ ჩაჰყვება, ანუ „მონატრებული ბიშკეკის“ თბილისური ქრონიკის“ ავტორის სოფო გელაშვილის აზრი: „ნიშანდობლივია, რომ ქვეყანაში რევოლუციები არ ხდება შს ან უშიშროების მინისტრის მოსყიდვის გარეშე. 2003 წელს, ოპოზიციას მაშინდელი უშიშროების მინისტრი ვალერი ხაბურძანია ეხმარებოდა... რეალურად გამორიცხულია, რევოლუცია დაიგეგმოს და განხორციელდეს ციხის შიგნიდან გატეხვის გარეშე“.

წარმოუდგენელია, „უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე“ გივია თარგამაძეს გოგა ხაინდრავა ენდოს, შს მინისტრი ვანო მერაბიშვილი კი, ვფიქრობ, იმსახურებს ნდობას. ოღონდ, უადგილოდ არის აქ ნახმარი სიტყვა „მოსყიდვა“. ვანო მერაბიშვილის მოსყიდვა არც ისე იოლია. იგი თვითონ არის მოსყიდვის ოსტატი: მისი „ნავაჭრი“ ახლაც პარლამენტში ზის – „გალსტუკიანი ხვლიკი“! ბატონ ვანოს ჩვენ უბრალოდ მხარდაჭერა უნდა ვაგრძნობინოთ. სულ ცოტა, თავი დავანებოთ მის ლანძღვას, განსაკუთრებით კი მუქარას, რასაც ე.წ. „ოპოზიცია“ ვითომ ჩვენს სასარგებლოდ აკეთებს. დანარჩენს კი ბატონი ვანო მიხედავს. აბა, შეურაცხად პრეზიდენტს მართლა სამარეში ხომ არ ჩაჰყვება და ჩააყოლებს მთელ მთავრობასა და პარლამენტს?! რამდენიმე ნაძირალას გარდა, იქ წესიერი ადამიანებიც არიან. ერთი დამთხვეულის გულისთვის მთელ ქართულ პოლიტიკურ ელიტას ხომ არ ამოვწყვეტთ?!

**ომარ ხახაშვილი.**
27.04.10

კვალი დროში

# დიდი მეცნიერი, რომელიც ერთდროულად აფხაზიც იყო და ქართველიც



## პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე – 90

**არიან ადამიანები, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნიეს ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებას, არსებითი წვლილი შეიტანეს მეცნიერების განვითარებაში. სწორედ ასეთთა რიცხვს ეკუთვნის გამოჩენილი აფხაზი ისტორიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, აფხაზეთის უნივერსიტეტის პირველი რექტორი, პროფესორი ზურაბ ანჩაბაძე.**

იგი დაიბადა ქ.გაგრაში, 1920 წლის 22 აპრილს, თავისი ინტელიგენტურობითა და კულტურული ტრადიციებით ცნობილ ოჯახში. გამორჩეულია ზურაბ ანჩაბაძის ანკეტა, სადაც სოციალური წარმოშობის გრაფაა, გარკვევითაა მიწერილი თავადი, სოციალური მდგომარეობა – აზნაური. ზურაბის ბაბუა ტარას ანჩაბაძე, გადამდგარი ვიცე-პოლკოვნიკი, საკმაო ხნის მანძილზე იყო სოხუმის მმართველობის წევრი; ბებია – მაშო დადიანი-ანჩაბაძისა ცნობილი საზოგადო მოღვაწე იყო. ზურაბის მამამ, ვინორ ანჩაბაძემ დაამთავრა პეტერბურგის სამხედრო-სამედიცინო აკადემია. პირველი მსოფლიო ომის დროს იმყოფებოდა კავკასიისა და დასავლეთის ფრონტებზე. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას დაევალა აფხაზეთში საკურორტო საქმის ორგანიზება. გარკვეული დროის მანძილზე ვინორ ანჩაბაძე იყო აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი.

ანჩაბაძეები ძველი აფხაზური თავადური გვარის წარმომადგენლები არიან. ეს საგვარეულო (სხვებთან, მაგ. შერვაშიძეებთან ერთად), აქტიურად მონაწილეობდა ფეოდალური საქართველოს პოლიტიკურ გაერთიანებაში.

ზურაბ ანჩაბაძის სამეცნიერო-კვლევითი ინტერესების სფერო ფართოა. ცენტრალური ადგილი მის მუშაობაში უკავია შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიისა და ქართველი ხალხის მეზობელ ხალხებთან, განსაკუთრებით კავკასიის ხალხებთან ურთიერთობის საკითხებს. მისი მეცნიერული გამოკვლევების ძირითადი ქრონოლოგიური ჩარჩოებია XVI-XIX სს. პირველი ნახევარი და ეხება უპირატესად სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის საკითხებს.

ზურაბ ანჩაბაძის მოღვაწეობასთან უშუალოდაა დაკავშირებული აფხაზთმცოდნეობის განვითარება. მეცნიერის შემოქმედებით მემკვიდრეობაში არსებითი ადგილი უკავია აფხაზეთის ისტორიის კვლევას. ფუნდამენტური მონოგრაფიები „შუა საუკუნეების აფხაზეთის ისტორიიდან VI-XVII სს.“ (1959 წ.), „ძველი აფხაზეთის ისტორია და კულტურა“ (1964 წ.), „აფხაზი ხალხის ეთნიკური ისტორიის ნარკვევი“ (1976 წ.) სწორედ უშუალოდ აფხაზეთსა და აფხაზებს შეეხება. მეცნიერი გამოწვლილვით აანალიზებდა მეცნიერ-ისტორიკოსთა (ი.ჯავახიშვილი, ს.ჯანაშია, გ.მელიქიშვილი, დ.გულია და სხვ.), ენათმეცნიერთა (ნ.მარი, ა.ჩიქობავა, ქ.ლომთათიძე და სხვ.), არქეოლოგთა (ე.კრუპნოვი, ო.ჯაფარიძე), ეთნოგრაფთა (გ.ჩიტაია, შ.ინალ-იფა და სხვ.) მოსაზრებებს მისთვის საინტერესო საკითხებზე და სათანადო დასკვნებს აკეთებდა, მიუთითებდა პალეოკავკასიური ხალხების ისტორიულ-კულტურულ და ეთნიკურ კავშირზე. ზ.ანჩაბაძემ განიხილა ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, როგორიცაა აფხაზეთის სამთავროს წარმოშობა და განვითარება, აფხაზთა სამეფოს შექმნა, მიაჩნდა რა ეს უკანასკნელი დასავლეთ ქართულ სახელმწიფოდ. მოგვიანებით იგი იყო ავტორი ქართულ ენციკლოპედიაში სტატიისა „აფხაზთა სამეფო“.

ზურაბ ანჩაბაძემ დიდი ამაგი დასდო აფხაზეთის ისტორიის ორტომეულის გამოცემას (1960, 1964 წწ.). ეს გამოცემა ფაქტობრივად პირველი სისტემური მეცნიერული გაშუქება იყო აფხაზეთის ისტორიისა. ზურაბ ანჩაბაძის თაოსნობით შეიქმნა უმაღლესი სკოლის პირველი საცდელი დამხმარე სახელმძღვანელო აფხაზეთის ისტორიაში.

ფასდაუდებელია ზურაბ ანჩაბაძის ღვაწლი ჩრდილოეთ კავკასიის ხალხების ისტორიის შესწავლაში. მთელი რიგი პრობლემებისა კავკასიათმცოდნეობაში პირველმა მან შეისწავლა. განსვენებულ პროფესორ ალექსი რობაქიძესთან ერთად ზურაბ ანჩაბაძემ წამოაყენა კავკასიის მთის ფეოდალიზმის თეორია. მათ პირველებმა დაამუშავეს სტრუქტურა, ძირითადი ეტაპები და კავკასიური მთის ფეოდალიზმის მახასიათებლები.

ზურაბ ანჩაბაძის დიდმა ღვაწლმა ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ისტორიის კვლევაში, ამავე რეგიონის სამეცნიერო ცენტრებისათვის კადრების მომზადების საქმეში შეტანილმა დიდმა წვლილმა, მნიშვნელოვანმა სამეცნიერო ავტორიტეტმა და ადამიანურმა მომხიბვლელობამ ფართო აღიარება მოუტანა მეცნიერს მთელი კავკასიის სამეცნიერო წრეებში.

ზურაბ ანჩაბაძე 150-ზე მეტი სამეცნიერო შრომის ავტორია. მისი რედაქტორობით გამოვიდა 40-ზე მეტი მონოგრაფია, კრებული, პერიოდული გამოცემა. დიდი სამეცნიერო მუშაობისა და გამოცდილების მეცნიერი, ცხადია, შემართული იყო თავისი ცოდნა გადაეცა თავისი მოწაფეებისათვის, საერთოდ ახალგაზრდობისათვის. ზურაბ ანჩაბაძის ხელმძღვანელობით კავკასიის ხალხთა ისტორიაში მომზადდა და დაცულია 20-მდე საკანდიდატო და 6 სადოქტორო დისერტაცია.

1973 წელს ზურაბ ანჩაბაძე სათავეში ჩაუდგა ა.მ.გორკის სახელობის სოხუმის პედაგოგიურ ინსტიტუტს. ამ ასპარეზმა ახალი, მეტად საინტერესო კუთხით წარმოადგინა მეცნიერი. აქ გამოჩნდა მისი ორგანიზატორული ნიჭი, უნარი სამეცნიერო-სასწავლო კვლევების მართვისა, მაღალი პედაგოგიური ღირსებები, სტუდენტი ახალგაზრდობის აღზრდის უნარი. ზურაბ ანჩაბაძეს მიაჩნდა, რომ პედაგოგიური ინსტიტუტის ჩარჩოები ველარ იტევდა იმ ამოცანებს, რომლის შესრულების აუცილებლობასაც ქვეყნის კულტურულ-ეკონომიკური ვითარება განაპირობებდა. მეცნიერმა ფართო მუშაობა გაშალა, რათა აფხაზეთის ინსტიტუტის ბაზაზე შეექმნათ აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ზურაბ ანჩაბაძის მცდელობამ მხარდაჭერა ჰპოვა როგორც ხელისუფლებაში, ისე საზოგადოების ფართო ფენებში. 1979 წელს დაარსდა აფხაზეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი. პირველ რექტორად დამტკიცებულ იქნა ზურაბ ანჩაბაძე. მეცნიერმა არ დაიშურა ძალა და ღონე სრულყოფილი, ეპოქის შესაფერისი უნივერსიტეტის ფორმირებისათვის. კავშირი დამყარდა ქვეყნის ბევრ უმაღლეს სასწავლებელთან. ზურაბ ანჩაბაძის მაღალმა კომპეტენციამ, მონდომებამ და თავდადებულმა შრომამ განაპირობა ძლიერი საუნივერსიტეტო კოლექტივის შექმნა და იგი მნიშვნელოვან სასწავლო და სამეცნიერო ცენტრად იქცა.

უნივერსიტეტში ზურაბ ანჩაბაძემ შექმნა საქართველოსა და აფხაზეთის ისტორიის კათედრა, რომელსაც თავად ჩაუდგა სათავეში. აქედან აგრძელებდა იგი ეროვნული კადრების მომზადებას, როგორც უშუალოდ აფხაზეთისთვის, ისე ჩრდილო-კავკასიის რესპუბლიკებისათვის.

განსაკუთრებულად ყურადღებიანი იყო იგი მოწაფეებისადმი, დისერტანტისადმი, რომელთაც ოპონირებას უწევდა. თავის ფართო ცოდნასა და დიდ გამოცდილებას უშურველად უნაწილებდა იგი მოწაფეებსა და კოლეგებს.

ცალკე უნდა აღინიშნოს ზურაბ ანჩაბაძის ბრწყინვალე ორატორული ნიჭი და მეცნიერული პოლემიკის გონივრულად წარმართვის უნარი. მისი ყოველი გამოსვლა მეცნიერული პაექრობის დროს ღრმადაზრიანი და მტკიცედ ლოგიკური იყო და აჩვენებდა მეცნიერის ფართო ერუდიციასა და მაღალ კულტურას.

ცნობილმა აფხაზმა ენათმეცნიერმა პროფესორმა ხუხუტი ბღაჟბამ საგანგებო სტატია მიუძღვნა ზურაბ ანჩაბაძის დაკვირვებებს ეთნონიმებზე. მეცნიერის ინტერესი ამ სფეროში მისწვდა აბეშლას, ჰენიოხებს, აფსილებს, აბაზგებს. ზურაბ ანჩაბაძე მხარს უჭერდა აკად.გიორგი მელიქიშვილის მოსაზრებას, რომ ეთნონიმი აბეშლა, რომელიც გვხვდება ასირიულ წერილობით ძეგლებში, ჩვენს წელთაღრიცხვამდე XII საუკუნიდან კავშირში უნდა იყოს აფსილებთან (აფშილებთან).

ზურაბ ანჩაბაძე აღნიშნავდა, რომ ჰენიოხებზე სხვადასხვა მოსაზრებები არსებობდა. იოსებ ორბელი მათ სვანებად მიიჩნევდა, დიმიტრი გულია აფხაზებად, სიმონ ჯანაშია მეგრელ-ლაზებად, იოსებ ორბელი და მელიქიშვილი მათ აიგივებდნენ სანიგებთან. ზურაბ ანჩაბაძე მხარს უჭერდა იმ მოსაზრებას, რომ სანიგები საძების, ანუ ჯიქების წინაპრები იყვნენ (დიაჩკოვა-ტარასოვა). ამას მეცნიერს აფიქრებინებდა ის გარემოება, რომ არიანესა და ფსევდო-არიანეს მიერ მოხსენიებული სანიგების საცხოვრისის ლოკალიზაცია ხდება იქ, სადაც გვიანდელი ფეოდალიზმის (გვიანი შუასაუკუნეების) დროს ცხოვრობდნენ ჯიქები.

ყურადღებას იქცევს ზურაბ ანჩაბაძის აზრი მისიმიელების შესახებ. იგი მოკრძალებულად გამოთქვამდა ვარაუდს, რომ მისიმიელები ეთნიკურად წარმოადგენდნენ პალეოკავკასიური ეთნოლინგვისტური ოჯახის ინდივიდუალურ ტომს, რომლებიც ახლოს იყვნენ ქართველ და აფხაზ ტომებთან.

ზურაბ ანჩაბაძის დიდი ღვაწლი ჩაიდო ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ისტორიის არა მხოლოდ კვლევაში, არამედ „ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ისტორიის“ სამტომეულის გამოცემაში, რომელიც მისი ხელმძღვანელობით შეასრულეს ჩრდილო-კავკასიელმა მეცნიერებმა. „ნარკვევები“ დაიწერა და გამოიცა ისტორიოგრაფიის ზოგადი დონის გათვალისწინებით, განზოგადებულ იქნა ფაქტები და მოვლენები. გათვალისწინებულ იქნა მკითხველი საზოგადოების მოთხოვნილებაც. ნიშანდობლივია, რომ აღნიშნული გამოცემა სრულად პასუხობს თავის დროზე ივანე ჯავახიშვილის მიერ ისტორიკოსების წინაშე დასმულ ამოცანას. მოგეხსენებათ, რომ ბატონი ივანე ჩრდილო-კავკასიის ხალხთა ისტორიის პრობლემებს დიდ ყურადღებას უთმობდა. მიაჩნდა, რომ ყოველ განათლებულ ქართველს უნდა სცოდნოდა ეს ისტორია, ისევე როგორც საკუთარი ქვეყნისა“. პირველ ტომში „ნარკვევებისა“ მოცემულია ეთნოლინგვისტური კლასიფიკაცია ჩრდილო-კავკასიელებისა, მეორე ტომში XIX საუკუნის მოვლენებია აღწერილი, მესამე ტომი საბჭოთა პერიოდს ეხება. დიდი თეორიულ-მეთოდოლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა ზურაბ ანჩაბაძისეულ მოსაზრებებს XIX საუკუნის 20-50-იან წლებში შამილის ხელმძღვანელობით დაღესტნელი და ჩაჩანი მთიელების მოძრაობის შესახებ. მოძრაობის გარედან ინსპირირებულობის საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა ბატონი ზურაბი ისტორიოგრაფიაში გაბატონებულ მოსაზრებას, რომ მოძრაობა ადგილობრივი სოციალურ-ეკონომიკური ნიადაგიდან წარმოიშვა. მისი მთავარი მიზეზები იყო ცარიზმის მკაცრი პოლიტიკა და ჩაგვრა. ზურაბ ანჩაბაძე ასკვნის, რომ ამ გმირულმა და ერთდროულად ტრაგიკულმა გამათავისუფლებელმა ბრძოლამ მთიელებს მნიშვნელოვანი სახელი მოუტანა.

რამ განაპირობა ზურაბ ანჩაბაძის მაღალნიჭიერება, შრომის სიყვარული, ზედმიწევნითი კეთილსინდისიერება, უნარი შეეთვისებინა სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა?

უპირველესად უნდა აღინიშნოს, რომ მას ბრწყინვალე აღზრდა ჰქონდა მიღებული ტრადიციულ, ამასთან მაღალკულტურულ და, შეიძლება ითქვას, ინტელექტუალურ ოჯახში. ის კარგად ფლობდა მშობლიურ აფხაზურ, ქართულ, რუსულ და არაერთ უცხო ენას. მისი ქცევა საზოგადოებაში მისაბაძი იყო – იგი უზადოდ ფლობდა ქცევის მაღალი კლასის ეტიკეტს. ბატონმა ზურაბმა შესანიშნავად იცოდა ქართული სუფრის წესები, არა მხოლოდ თეორიულად, თვითონ იძლეოდა ჭეშმარიტი კავკასიელის მაგალითს; მღეროდა შესანიშნავად და ცეკვავდა უზადოდ. იგი შესანიშნავი თამადა იყო. ადამიანური ხიბლი, თავად სიცოცხლის მოყვარულს, საზოგადოების ყურადღების ცენტრში აქცევდა. ისიც საოცარი მოსაუბრე და ბევრისმცოდნე, დაუზარელი ადამიანებთან ურთიერთობისას, ამ საუბარში უზარმაზარ ენერგიას ხარჯავდა. განსაკუთრებულად უნდა აღინიშნოს, რომ ზურაბ ანჩაბაძემ შესანიშნავად იცოდა ხელოვნება, მწერლობა – ლიტერატურა, როგორც ქართული და რუსული, ისე დასავლეთევროპული და აღმოსავლური; გატაცებით კითხულობდა (ზეპირად) ა.პუშკინის, მ.ლერმონტოვის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟა-ფშაველას, გალაკტიონ ტაბიძის, სიმონ ჩიქოვანის ლექსებს. გამორჩეულად უყვარდა სერგეი ესენინი. ზოგჯერ ცალკეულ ციტატებსაც კითხულობდა ქართველ მწერალთა რომანებიდან.

ზურაბ ანჩაბაძის კოლეგები აღნიშნავენ, რომ სამეცნიერო კონფერენციებზე იგი დაწერილი ტექსტით არ გამოდიოდა. ზოგჯერ ამით აგებდა კიდეც, რადგან ღონისძიების პრესაში გაშუქებისას წერილობითი მასალის უქონლობის გამო მხოლოდ მეცნიერის გვარს მოიხსენიებდნენ და ის მნიშვნელოვანი, რაზეც ბატონი ზურაბი მსჯელობდა, იკარგებოდა.

ნიშანდობლივია, რომ კოლეგები, როცა ზურაბ ანჩაბაძის დადებით თვისებებზე ლაპარაკობენ, მიუთითებენ რა მის მჭევრმეტყველობაზე, ამა თუ იმ მოვლენის მეტად საინტერესოდ გადმოცემის უნარზე, იქვე აღნიშნავენ, რომ მას შეეძლო ყურადღებით მოსმენა. უსმენდა უფროსს, უმცროსს, უსმენდა კოლეგას თუ მოწაფეს. უსმენდა და ბევრსაც იღებდა. ბატონ ზურაბთან ერთად სამეცნიერო კონფერენციებზე ნალჩიკში იყო ეს, თუ ორჯონიკიძეში, მახაჩკალაში თუ ჩერკესკში, ხშირად ნახავდით მის მოწაფეებსაც: ანტონ ლეჟავას, გიორგი თოგოშვილს, მედეა ქანთარიას, მარინა ცინცაძეს. მეცნიერი ცდილობდა, რომ გამოეჩინა ახალგაზრდები, წარედგინა ისინი სამეცნიერო საზოგადოებისათვის. ამასთან ახალგაზრდები ეცნობოდნენ მოსკოვის, ლენინგრადის, როსტოვისა და სხვა წამყვანი ცენტრების წარმომადგენლებს – კავკასიამცოდნეებს: ე.კუშევის, ლ.ლავროვს, კ.სივკოვს, ნ.სმირნოვს, ს.ბუშუევს, ე.დრუჟინინას, მ.კიმს, ა.ფადეევსა და სხვებს.

კოლეგები აღფრთოვანებაში მოჰყავდა ზურაბ ანჩაბაძის სრულიად განსხვავებული ხასიათის მქონე ადამიანებთა ურთიერთობის, მათთან საერთო ენის გამონახვის უნარს.

არ შეიძლება ხაზგასმით, გამოკვეთილად არ აღვნიშნოთ, რომ ზურაბ ანჩაბაძეს მთელი მისი საქმიანობისას მხარში ედგა მეუღლე ქალბატონი თინა ხახიშვილი, მაღალი რანგის ინტელიგენტი; იგი წლების მანძილზე ქართული ენციკლოპედიის რედაქციაში მოღვაწეობდა და თავისი წვლილი აქვს შეტანილი ამ გამოცემის განხორციელებაში.

დღესდღეობით ზურაბ ანჩაბაძის გზას აგრძელებს მისი ვაჟი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი ანჩაბაძე, შუა საუკუნეების ისტორიის, უპირატესად სამხედრო ხელოვნების ისტორიის თავგამოდებული მკვლევარი. მინდა გამოვთქვა რწმენა, რომ ბატონი გიორგი კვლავაც წარმატებით გააგრძელებს კვლევით საქმიანობას და თავის წვლილს შეიტანს ქართულ-აფხაზური რთული ურთიერთობების გამოკეთების საქმეში.

ზურაბ ანჩაბაძე გარდაიცვალა 1984 წელს, იანვარში, 64 წლისა, შემოქმედებითი ძალების გაფურჩქვნის პერიოდში. ეს მძიმე დანაკლისი იყო მეცნიერებისათვის, ქართული საზოგადოებისათვის. ზურაბ ანჩაბაძემ ღირსეული მოქალაქისა და საზოგადო მოღვაწის და გამოჩენილი მეცნიერის სახელი დატოვა. მას გაჰყვა ჩვენი საზოგადოების, კოლეგებისა და მოწაფეების ალალი ცრემლი.

დღეს, როცა ქართველი სამეცნიერო საზოგადოება ბატონი ზურაბის დაბადებიდან 90 წლისთავს აღნიშნავს, ერთხელ კიდევ მიაგებს სახელოვან მეცნიერს პატივს, რაც დასტურია იმისა, რომ ზურაბ ანჩაბაძე ქართველ მეცნიერთა გულებში მარადჟამს იცოცხლებს.

**რონ მეტრეველი,**
**აკადემიკოსი**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# ედუარდ კოკოითისთვის ნებისმიერი მთავრობა დროებითია

**სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებამ შეიძლება გადააყენოს მორიგი მთავრობა ვადიმ ბროვცევის ხელმძღვანელობით. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, რესპუბლიკის პარლამენტში უკვე დაიწყო ხელმოწერების შეგროვება კაბინეტისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოსატანად. ექსპერტებს მიაჩნიათ, რომ კონფლიქტის საფუძველი შეიძლება იყოს სამხრეთ ოსეთის ხელისუფლების სურვილი, ჩამოიშორონ ჩინოვნიკი, რომელიც გამოაგზავნა მოსკოვმა საფინანსო ნაკადების კონტროლისთვის. ამ დროს პრემიერი ბროვცევი სასწრაფოდ ჩავიდა მოსკოვში**

იმის შესახებ, რომ სამხრეთ ოსეთის პარლამენტის დეპუტატებმა დაიწყეს ხელმოწერების შეგროვება ვადიმ ბროვცევის კაბინეტისთვის უნდობლობის ვოტუმის გამოსაცხადებლად, ჩვენ გვიამბო ორმა წყარომ, რომლებიც სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობასთან არიან დაახლოებული. ერთ-ერთი მათგანის სიტყვებით, ვოტუმის დაყენების შესახებ კენჭისყრაზე აუცილებელია შეგროვდეს სულ რაღაც 13 ხელმოწერა პარლამენტის 34 დეპუტატიდან. მეორე წყარო აღნიშნავს, რომ საკითხი შეიძლება განხილულ იქნეს 4 მაისს პარლამენტის პრეზიდიუმის სხდომაზე.

საინფორმაციო კამპანია პრემიერ ბროვცევის წინააღმდეგ, რომელიც თანამდებობაზე დაინიშნა შარშან აგვისტოში, დაიწყო ჯერ კიდევ მარტში. სახელმწიფოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებები თითქმის ყოველდღე აქვეყნებენ მამხილებელ მასალებს პრემიერისა და მისი გუნდის – პირველი ვიცე-პრემიერის ალექსანდრე ზალიგას, ფინანსთა მინისტრის ირინა სიტნიკისა და ეკონომიკური განვითარების მინისტრის ალექსანდრ ჭმაილოს წინააღმდეგ. ყველა ისინი ორზესკიდან არიან (ჩელიაბინსკის ოლქიძ, პრემიერის მშობლიური ქალაქიდან. კერძოდ, სამხრეთ ოსეთის საინფორმაციო საშუალებები ბატონ ბროვცევსა და მის თანამებრძოლებს ბრალს სდებენ იჯარების გაცემაში რესპუბლიკის აღსადგენად ჩელიაბინსკის ფირმებზე ანდა საბიუჯეტო სახსრების არამიზნობრივ გამოყენებაში.

ამ დღეებში ვადიმ ბროვცევის გამოააშკარავება დაიწყო სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო ტელევიზიამაც. როგორც რესპუბლიკაში ერთადერთი დამოუკიდებელი გაზეთის „XXI საუკუნის“ მთავარმა რედაქტორმა თემურ ცხოვრებოვმა გვაცნობა, სამშაბათს ადგილობრივმა ტელევიზიამ აჩვენა დეპუტატ ვადიმ ცხოვრებოვის ნახევარსაათიანი გამოსვლა, რომელიც საუბრობდა პრემიერისა და ოზერსკიდან ჩამოყვანილი მინისტრების არაკომპეტენტურობის შესახებ. თემურ ცხოვრებოვის აზრით, ამგვარი მასალა ძნელად რომ გასულიყო ეკრანზე პრეზიდენტ ედუარდ კოკოითთან შეუთანხმებლად.

პრემიერ ბროვცევის ჩამოსაშორებლად პრეზიდენტის მომხრეებს აქვთ ყველა შესაძლებლობა. კონსტიტუციის თანახმად, პარლამენტს შეუძლია გამოთქვას უნდობლობა მთავრობის ნებისმიერი წევრის მიმართ ხმების უბრალო უმრავლესობით.

თუ ვადიმ ბროვცევის მთავრობა მართლაც გადადგება, ეს უკვე იქნება სამხრეთ ოსეთის კაბინეტის მესამე შეცვლა ომის შემდეგ.

ვადიმ ბროვცევი პრემიერად დაინიშნა შარშან 5 აგვისტოს. როგორც ედუარდ კოკოითი აღიარებდა ამას წინათ ჟურნალ „ვლასტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში, მან „თავის დროზე თავად სთხოვა რუსეთის ფედერაციის ხელმძღვანელობას, გამოგზავნონ მთავრობის ხელმძღვანელი, რათა რუსეთთან საფინანსო ურთიერთობანი და კონტროლი გამჭვირვალე ყოფილიყო“. ჩვენი გაზეთის წყაროები რუსეთის ფედერაციის მთავრობაში მაშინ აღნიშნავდნენ, რომ ბატონ ბროვცევს რეკომენდაცია გაუწია რუსეთის ფედერაციის რეგიონების სამინისტრომ, რომელიც ახორციელებს აღდგენის პროცესის კურირებას. უწყების ხელმძღვანელი ვიქტორ ბასარგინი – ჩელიაბინსკის მეზობელი სვერდლოვსკის ოლქიდანაა, მისი გუნდის უმრავლესობაც აგრეთვე ურალიდანაა. დანიშვნის შემდეგ ვადიმ ბროვცევმა განახორციელა ადმინისტრაციული რეფორმა, მნიშვნელოვნად შეამცირა რესპუბლიკაში ჩინოვნიკების რაოდენობა, ამასთანავე რუსეთის ფედერაციიდან მოწვეული ხალხი დააყენა საფინანსო ბლოკის კონტროლის სათავეებში და ფულის ნაკადებს ჩამოაშორა სპეციალისტები ედუარდ კოკოითის გუნდიდან.



სამხრეთ ოსეთის პრემიერის პრესსამსახურში სიტუაციას კომენტარს არ უკეთებენ. „სანამ არ არის შესაბამისი დოკუმენტი, მის შესახებ საუბარი შეუძლებელია“, – განაცხადა ბროვცევის პრესმდივანმა ლილია ბულავენკომ. სხვათა შორის, თავად პრემიერი მოსკოვში მიიღეს მაღალ დონეზე: მას შეხვდა რუსეთის ფედერაციის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი ნიკოლაი პეტრუშევი და რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი სერგეი ნარიშკინი. კრემლის პრესსამსახურმა გვაცნობა, რომ შეხვედრებზე „განიხილებოდა რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის საკითხები“.

**ზაურ ფარნიევი**

Коммерсантъ

# ქართული დემოკრატიის კულისები

**უკვე ორი ათეული წელია საქართველო განუწყვეტლად აწყდება სახელმწიფო გადატრიალებათა რიგებს ან არჩევნებს – საპრეზიდენტო იქნება ეს არჩევნები, საპარლამენტო თუ ადგილობრივი. მაგრამ ხელისუფლების პრეტენდენტებისთვის ამ პატარა რესპუბლიკაში უცვლელი ყოველთვის მხოლოდ ორი ბერკეტი რჩება: სიცრუე ან მოსახლეობის გაცურება. გასაოცარია, მაგრამ ამას თავისი შედეგები მოაქვს**

პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია ხალხს ჰპირდებოდა სამოთხეში ცხოვრებას ქართული მანდარინის, ჩაის, ადრეული კარტოფილის ექსპორტის ხარჯზე. ედუარდ შევარდნაძე აპირებდა გადაექცია ქვეყანა „მეორე შვეიცარიად“ და ადგილობრივი კურორტების განვითარებისთვის დიდი ინვესტიციების მოზიდვას. არ ჩამორჩებოდა მათ მიხეილ სააკაშვილიც, რომელიც წარმოუჩენდა თანამოქალაქეებს გზას ედემისკენ საქართველოს სატრანზიტო პოტენციალით, რესპუბლიკის სატრანსპორტო მთლიანობის აღდგენით და „მსოფლიოში საუკეთესო დემოკრატიით“.

მაგრამ სახელმწიფოს სამივე პირველმა პირმა დიდი გაწბილება მოუტანა ხალხს. მას ძველებურად ახრჩობს სიღარიბე, ფასიანი განათლების მიუწვდომლობა უმრავლესობისთვის და ასევე ფასიანი სამედიცინო მომსახურება, სასაცილო პენსიები, გაზზე, წყალზე და ელექტროგაზე უზომოდ დიდი ფასებით. მთავარი უბედურება – მასობრივი უმუშევრობაა, რამაც დამოუკიდებლობის წლებში 1,5 მილიონი ქართველი აიძულა, სამუშაოს საძებნელად უცხოეთში გაქცეულიყო.

ამჟამად ელოდებიან ახალ არჩევნებს – ადგილობრივ არჩევნებს, რომლებიც 30 მაისს გაიმართება. ელექტორატი ახლა უკვე საკმაოდ გამოცდილია და მისი პრიმიტიულად გასულელება ძნელია. თუმცა გარკვეული ოდენობის დოყლაპიებიც მოიძებნება. ამიტომ, წინანდელი „დემოკრატიის დღესასწაულებისგან“ განსხვავებით, ამორჩეველთა გადმობირება უკვე საკმაოდ ძნელია. აქ კი საჭიროა ფული. დიდი ფული.

უცხოეთში მას ვერ აიღებ, ვინაიდან აკრძალულია პოლიტიკური პარტიების უცხოური სპონსორობა. თავად საქართველოში კი დიდ ფულთან შეღწევა მხოლოდ მმართველი პარტიის შესაძლებლობაშია. ოპოზიციონერების მომხრეთა შორის „მდიდარი ბურატინოები“ არ არიან. მაგრამ სააკაშვილის პარტიაში, რომლის წევრებიც სათავეში უდგანან ასე თუ ისე მნიშვნელოვან თანამდებობებს, ცდილობენ, მოაშთონ მოწინააღმდეგეები საფინანსო წნეხით. ეს ის პროცესია, რომელსაც დელიკატურად ადმინისტრაციულ რესურსს უწოდებენ.

ხელისუფლების მიერ ფულის აკუმულირების მექანიზმი საარჩევნო კამპანიაზე გახსნა „საერთაშორისო გამჭვირვალობის“ საერთაშორისო ორგანიზაციის თბილისის ოფისმა. მის საქმიანობას ძირითადად ახასიათებს სისტემური კორუფციის მიზეზების გამოვლენა.

თითქოსდა საოფისე პლანქტონიაო, რომელიც ემთხვევა ადგილობრივ არჩევნებს, მან გაავრცელა მოხსენება სახელწოდებით „ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება წინასაარჩევნო კამპანიის მიზნებისთვის“. თანაც დოკუმენტი ძირითადად აქცენტირებულია საქმის ვითარებაზე საქართველოს დედაქალაქში.

მასში ნათქვამია, რომ არჩევნების წინ „არსებითად გაიზარდა“ თბილისის მერიის მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობა – 410 კაცით, ხელფასების ფონდს კი დაემატა 5,5 მილიონი ლარი. ეს ეწინააღმდეგება ეგრეთ წოდებულ „ქამრის მოჭერის“ პოლიტიკას, რომელიც გამოაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა ბიუროკრატიული ხარჯების შემცირებასთან დაკავშირებით.

და აგრძელებს ფონდი საფარის ჩამოხსნას, თუმცა, მთელი საქართველოს მასშტაბით: 2010 წელს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი თვითმმართველობისთვის გამოყოფილია 836,9 მილიონი ლარი ტრანსფერის სახით, რაც 34 პროცენტით მეტია შარშან გამოყოფილთან შედარებით. მთავრობამაც გააორმაგა შარშანდელთან შედარებით თანხა, რომელიც გამოყოფილია სოფლის მხარდაჭერის სახელმწიფო პროგრამისთვის, რაც 40 მილიონ ლარს შეადგენს. „თვითმმართველობის ორგანოებს დღემდე არასოდეს მიუღიათ ამდენი ფული“,– ნათქვამია მოხსენებაში.

დოკუმენტის თანახმად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან დედაქალაქისთვის ტრანსფერისა და ბიუჯეტისთვის ასევე „უპრეცედენტოა“ გამოყოფილი თანხები, ისინი შეადგენენ 323 მილიონ და 560 მილიონ ლარს შესაბამისად.

მიუხედავად იმისა, რომ საპენსიო პოლიტიკა არ განეკუთვნება თვითმმართველობის კომპეტენციას, მერია აფინანსებს დედაქალაქში მცხოვრები პენსიონერების პენსიების გაზრდას 10 ლარით. პენსიების გაზრდა 2010 წლიდან არ შეეხება მათ, ვინც თბილისში არ ცხოვრობს. მოხსენებაში ასეთ მიდგომას „დისკრიმინაციულს“ უწოდებენ.

მერია ასევე აფინანსებს პროგრამას 4 მილიონი ლარის ოდენობით, რომელიც ითვალისწინებს დედაქალაქის პენსიონერებისთვის ვაუჩერების გაცემას 25 ლარზე მედიკამენტების შესაძენად.

შემდეგ კიდევ უფრო თვალში საცემი ამბები ხდება: „აღსანიშნავია, რომ ასეთი პროგრამები განხორციელდა 2006 წლის ადგილობრივი და 2008 წლის პრეზიდენტისა და პარლამენტის არჩევნების დროს, მაგრამ ეს არ განხორციელებულა 2007 და 2008 წლებში, როდესაც არჩევნები არ ყოფილა“.

რესპუბლიკის დედაქალაქი – მმართველი პარტიის განსაკუთრებული რგოლია მიუხედავად იმისა, რომ ქალაქს მართავენ პრეზიდენტის მიერ დაყენებული პიროვნებანი. აქ არის პარტია „ნაციონალური მოძრაობა“, სააკაშვილის პარტია, რომელიც ყოველთვის აგებდა არჩევნებს. მაგრამ ამჟამად პირველად ეწყობა მერის პირდაპირი არჩევნები და არა, როგორც პრეზიდენტის ბრძანებულებით დანიშნული. ქალაქის მოქმედი უფროსი გიგი უგულავა უკვე დარეგისტრირებულია კანდიდატად. მას მხარი დაუჭირა პრეზიდენტმა. მაგრამ დაუჭერენ მას მხარს ამომრჩევლები?

პენსიონერებმა – შეიძლება დაუჭირონ, ღარიბებმა კი – ძნელი სათქმელია. მერის უკანასკნელი მიღწევაა ფეხით სასიარულო ხიდის მშენებლობა დედაქალაქის ცენტრში მტკვარზე. ეს არის ამბიციური და ფუტურისტული პროექტი, რომელიც, როგორც თბილისში ამბობენ, ქალაქს 30 მილიონი დოლარი დაუჯდა. მოქალაქეებს მიაჩნიათ, რომ ხიდმა დაამახინჯა ძველი დედაქალაქის იერ-სახე. აზრი, რასაკვირველია, ერთსულოვანი არ არის, მაგრამ აშკარაა, რომ ნაგებობას ვერავითარ შემთხვევაში ვერ გაუთანაბრებ, მაგალითად, ეიფელის კოშკს.

საქართველოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაჩნდა კურიოზული ინფორმაციები: დედაქალაქის კომუნალური მომსახურების მუშაკებისთვის ბიუჯეტმა 2007 წლის არჩევნების პერიოდში შეადგინა 240 მილიონი ლარი, რაც ოფიციალურად გასაიდუმლოებული იყო. ამ თანხებს ხარჯავდნენ ხელგაშლილად. მეეზოვის ცოცხს, მაგალითად, ყიდულობდნენ 1,5 ათას ლარად, ნარინჯისფერი ჟილეტი კი მთელი 5 ათასი ლარი ჯდებოდა.

РОСБАЛТ

**ალბერტ ვენალაინელი**

## დედამიწის ზურგზე



**იანუკოვიჩმა ხელი მოაწერა კანონს უკრაინაში შავი ზღვის ფლოტის ყოფნის გაგრძელების შესახებ**

კანონის თანახმად, ყირიმში რუსეთის ბაზის ყოფნის ვადა გათვალისწინებულია 25 წლით 2017 წლიდან. 27 აპრილს უკრაინის უმაღლესმა რადამ მოახდინა კანონის რატიფიკაცია. ამ დროს დეპუტატები წაიჩხუბნენ და ერთი მეორეს კვერცხებს ესროდნენ, ქუჩაში კი ათი ათასი მომიტინგე შეიკრიბა.

* * *

**მეორე შეტევა საბავშვო დაწესებულებაზე ჩინეთში უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში: დაიჭრა 28 ბავშვი და 3 მოზარდი**

მამაკაცი დანით ხელში შეიჭრა საბავშვო ბაღში ქალაქ ტაისინგში. ხუთი ბავშვი უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია. ტრავმები მიიღეს აგრეთვე ორმა აღმზრდელმა და მცველმა. წინა დღით გუადუნის პროვინციაში დაწყებითი სკოლის ერთ-ერთი მასწავლებელი დანით დაესხა მოსწავლეებს – დაზიანდა 17 კაცი.

* * *



**ყირგიზეთში კონტრრევოლუციის საფრთხეა – არა ბაკიევის მომხრეების, არამედ განაწყენებული ახალგაზრდობის მხრიდან**

ბიშკეკში გაიმართა ახალგაზრდული ფორუმი, რომელმაც ახალი ხელისუფლებისგან მოითხოვა შეიყვანონ მინისტრთა კაბინეტში ახალგაზრდული ჯგუფების წარმომადგენლები, აგრეთვე დაიწიოს ასაკობრივმა ზღვარმა ყირგიზეთის პრეზიდენტის კანდიდატებისთვის. ექსპერტებს ეშინიათ, რომ განაწყენებულმა ახალგაზრდობამ შეიძლება ყირგიზეთში მოაწყოს კიდევ ერთი რევოლუცია.

* * *

**2007 წელს აშშ-ს 850 ათასზე მეტი მცხოვრები სახლში რუსულად ლაპარაკობდა**

რუსულ ენაზე მოსაუბრე ამერიკელებმა უკვე გაუსწრეს თავიანთი რიცხოვნობით იტალიელებს. ასეთი მონაცემები მოყვანილია ამერიკის შეერთებული შტატების მოსახლეობის აღწერის ბიუროს ახალ მოხსენებაში ამ ქვეყანაში ენის გამოყენების შესახებ. ინგლისური ენის მეტოქე ენებს შორის ტოლი არა ჰყავს ესპანურს. დაახლოებით 2,5 მილიონი ამერიკელი უპირატესობას ჩინურს ანიჭებს.

* * *

**მალაიზიელს, რომელიც გადარჩა მერვე სართულიდან გადმოვარდნის შემდეგ, ელოდება ციხე სუიციდის მცდელობისთვის**

ამ ქვეყნის სისხლის სამართლის კოდექსი თვითმკვლელობის მცდელობას მიაკუთვნებს დანაშაულს და აწესებს დამნაშავეებისთვის დასჯას დაპატიმრებით ერთ წლამდე და ჯარიმას. მალაიზიაში უკანასკნელ წლებში მუდმივად იზრდება სუიციდის შემთხვევების რაოდენობა.



ამოხსნა



*საააგენტო „პირველმა“ მოიპოვა სენსაციური ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, რომ იოანე ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაის“ შიფრის გასაღები ნაპოვნია. ამ სენსაციური აღმოჩენის ავტორი დოქტორი, პროფესორი, კომპიუტერული საერთაშორისო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ალიკო ცინცაძეა, რომელიც ბოლო პერიოდში ამ ხელნაწერზე ინტენსიურად მუშაობდა.*

*იოანე-ზოსიმეს „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“, მეათე საუკუნის ხელნაწერია. „ქართული ენა, უფლის ენაა, მეორედ მოსვლის შემდეგ ღმერთი ქართულად განიკითხავს.“ ასე განმარტეს იგი ქართველმა ენათმეცნიერებმა — მისმა მპოვნელმა ალექსანდრე ცაგარელმა, კორნელი კეკელიძემ და პავლე ინგოროყვამ. ტექსტზე მათ გარდა მუშაობდნენ გრიგოლ რობაქიძე, აკაკი ბაქრაძე, რამაზ პატარიძე და სხვა ენათმეცნიერები. შინაარსიდან გამომდინარე, ხელნაწერი რწმენისა და ქართული ენის საგალობლად ჩაითვალა და რელიგიური მნიშვნელობაც შეიძინა. ამიტომაც, მისდამი არა მხოლოდ მეცნიერთა, არამედ ფართო საზოგადოების ყურადღება დღემდე არ ცხრება.*

*ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ხელნაწერისადმი მიძღვნილმა მეცნიერულ გამოკვლევათა რაოდენობამ რამოდენიმე ათეულს გადააჭარბა. ტექსტის კვლევისთვის გამოყენებული იქნა კომპიუტერული ტექნოლოგიაც, მაგრამ ასო-ნიშანთა ე.წ. სიხშირულმა ანალიზმა შედეგი არ მოიტანა. ვერ იქნა გახსნილი წერილის ვერც ერთი რიცხვული სიმბოლიკა, მაგ. „და სასწაულად ესე აქუს (ქართულს): ოთხმეოც და ათოთხმეტ წელ*ი სხვათა ენათა“; ან „მოწამედ წარმოგითხარ: ასი ესე წილი (წერილი) ანბანისაი“. ამდენადაც ისინი „ლაფსუსკალამად“ მიიჩნიეს და შეეცადნენ მათ კორექტირებას. ასე, დაამახინჯეს ტექსტი (მაგალითად, 94 შეცვალეს 104-ით, „მისისა“ „მესიით“, გაშიფრეს ხელნაწერის ქარაგმები და ა.შ.). ამ დროს მეცნიერთა ყველა თაობა თანხმდებოდა იმაზე, რომ ეს დაშიფრული გზავნილია. დაშიფრულ ტექსტში ქარაგმის გახსნაც არასწორი გამოდგა. მისწრაფებამ ყოველ მიზეზს გარეშე გაეშიფრათ უმთავრესი გზავნილი 94, ანუ წერილის კულმინაცია, ბევრ ცდომილებას დაუდო სათავე.*

*ჩატარებული კვლევებით მიღებულ არგუმენტირებულ შედეგებთან ერთად, საბოლოოდ დაასკვნეს, რომ: იოანე-ზოსიმე ცუდი მოქართულეა, ტექსტში ხშირია მართლმადიდებლური დოგმატიდან გადახვევა, ბუნდოვანება მისი წერის სტილია და ა.შ.*

*„პირველი“ გთავაზობთ ექსკლუზიურ ინტერვიუს ბატონ ალიკო ცინცაძესთან:*

# იოანე ზოსიმეს წერილი გაშიფრულია!!!!

## სენსაცია ქართულ ენათმეცნიერებაში

**— ბატონო ალიკო, იოანე ზოსიმეს ხელნაწერის გახსნას რა ღირებულებაც აქვს ქართული საზოგადოებისთვის, კარგადაა ცნობილი. რამდენადაც ვიცი, ამ შიფრის გახსნაზე დღესაც უამრავი მეცნიერი მუშაობს, მართლა გაიხსნა შიფრი?..**

— დიახ, მინდა დაგიდასტუროთ, რომ შიფრის მექანიზმი სრულადაა გახსნილი და ეს მთელ საქართველოს და, პირველ რიგში, საპატრიარქოს მინდა მივულოცო.

**— ეს სენსაციაა....**

— ჯერ ბოლომდე არ მაქვს გაცნობიერებული, იმდენად დაბნეული და გახარებული ვარ, მაგრამ ფაქტია, რომ შიფრი ნამდვილად გაიხსნა. მე ამ საკითხზე აქტიურად ვმუშაობდი ბოლო პერიოდის განმავლობაში და საუბარი უნდა დავიწყო პირველ რიგში მადლობით ჩვენი მეცნიერებისადმი. მადლობა მინდა ვუთხრა ყველა იმ მეცნიერსა და მკვლევარს, რომელთა შედეგებიც გათვალისწინებული იქნა ჩვენი კვლევისას. განსაკუთრებით, სამადლობელი მინდა ვთქვა დამოუკიდებელი მკვლევარის, ბატონ რაულ მამალაძის მიმართ, რომლის წინადადებითაც ხელი მოვკიდე ამ ხელნაწერზე მუშაობას და იმ ეტაპზე მასთან ერთად სწორ კვალზე დავდექი.

**— შედეგი?.. ანუ რა იწინასწარმეტყველა იოანე ზოსიმემ? მეცნიერთა გარკვეული წრე თანხმდებოდა იმაზე, რომ წერილი დაშიფრულია, ისინიც და თქვენ მაინც საიდან მიხვედით აქამდე?**



— იოანე-ზოსიმე თვითონვე წერს ამაზე, როცა სიტყვა „მარაგს“ ახსენებს. ეს კი სულხან-საბას მიხედვით ამოსაშიფრი სიტყვაა. მეორეც, იგი შიფრის რიცხვული მექანიზმის დასაცავად თვალშისაცემ შეცდომებზე მიდის. მაგალითად, ერთგან „დამარხულ“-ის ნაცვლად „დამარხუ“-ს წერს, მეორეგან „დღემმმდე“-ში სამ „მ“-ს, შეგნებულად უხვევს მართლმადიდებლური დოგმატიდან და ა.შ. მეტი რა უნდა ექნა, რომ ჩვენ შიფრი შეგვემჩნია?! საერთოდაც, წერილს იმიტომაც შიფრავენ, რომ გარეშე თვალიდან ანუ არაკეთილმოსურნიდან დაფარონ. მან ასეც გააკეთა, მაგრამ უნდოდა, რომ ჩვენ შეგვემჩნია გზავნილი. ავდექით და ცუდი მოქართულეობა დავაბრალეთ... ამ დროს ქართველ გენიოსთან გვაქვს საქმე. აბა, ერთი ნახეთ, სხვა ხელნაწერებში თუ უშვებს შეცდომებს... არა! როგორც კვლევით აღმოჩნდა, ეს შიფრია და მერე როგორი, ხელის ხლებაც რომ არ შეიძლებოდა, ისეთი.

**— კერძოდ, რა არ უნდა გაკეთებულიყო და რა გაკეთდა ხელნაწერთან მიმართებაში?**

— მაგალითად, არასწორია მუხლებად ახლებური დაყოფა, დაშორებული სტრიქონები შიფრით ზოგჯერ ერთმანეთს ებმიან და ახალ წინადადებას გვაძლევენ, ახლებურად დამუხლვა არღვევს ამას. მეორეც, არ შეიძლებოდა ქარაგმების გახსნა, რადგან ამან შიფრი დაარღვია და ა.შ. შიფრია ტექსტის საერთო რიცხვ-ნიშანთა ჯამიც, შიფრია ხელნაწერის შესამოსელიც (თავი და ბოლოძ. მოკლედ არცოდნა კია არცოდვა, მაგრამ... ეს ძეგლი ხელთუქმნელია...

**— და რას გვეუბნება ეს შიფრი?**

— შიფრის მექანიზმსაც იოანე ზოსიმე თვითონ იძლევა. ჯერ ერთი თვალშისაცემად ორჯერ გვიმეორებს 4000-ს. ერთხელ ლაზარეს 4 დღის სიკვდილითა და თითო დღის, როგორც 1000 წლის ფასდადებით, მეორედ, როცა „წილი“ (წერილიძ გადაჰყავს 4000-ში, ანუ ასო-ნიშანი გადაჰყავს რიცხვ-ნიშანში. ეს ხომ გემატრიაა (ჰემატრიაძ, ბიბლიის კვლევის ერთ-ერთი მეთოდი. ძირითადად, იოანე-ზოსიმე ბიბლიის ამოკითხვის მეთოდებიდან: ნოტარიკონი, თემურა და ჰემატრია, ამ უკანასკნელს იყენებს და იყენებს დიდებულად. თანაც „ქართული ჰემატრია“ მარტივია, სადა და ცხადი, ისევე როგორც ყველაფერი ქართული და დიდებული... ყველაფერთან ერთად, ეს ხელნაწერი ქართული ჰემატრიის ფუძემდებლური ძეგლი აღმოჩნდა.

**— მაინც რა შედეგი იქნა ამოკითხული?**

— ერთ მაგალითს მოვიყვან მხოლოდ. ვისაუბროთ ხელნაწერის კულმინაციაზე: „და სასწაულად ესე აქუს (ქართულ ენასძ: ოთხმეოც და ათოთხმეტ წელი, უმეტეის სხათა ენათა, ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“ (აქ ჩვენც გავხსენით ქარაგმა, მაგრამ ეს ამ შემთხვევაში არაფერს აფუჭებსძ. მეცნიერთა ერთი ჯგუფი, რადგან სტრიქონში ფრაზა: „ქრისტეს მოსვლითგან ვიდრე დღესამომდე“ გვქონდა, სწორად მიხვდა, რომ აქ კალენდარზე იყო საუბარი. მაგრამ რომელ კალენდარზე და რით უკავშირდებოდა იგი 94-ს? ეს იყო მთავარი კითხვა.

რამაზ პატარიძემ თავის დროზე ქართულ ანბანში ამოიკითხა ე.წ. ქართული (უზუსტესიძ კალენდარი, რომელიც ყოველ 128 წელიწადში თვითონ კორექტირდება და ტროპიკულ წელიწადთან მიმართებაში 1წმ.-ის სხვაობას იძლევა, მას მხოლოდ 86400 წელში ერთხელ დასჭირდება კორექტირება (ჩვენი დღევანდელი კალენდარი, რომელსაც ვიყენებთ, ყოველ 128 წელში ერთდღიან კორექტირებას ითხოვსძ. „ასეთი სიზუსტის კალენდარს არ იცნობს კაცობრიობა“ — ასე შეაფასა პატარიძემ იგი. ამ კალენდრის მთელ რიცხვულ სტრუქტურას, ძირითადად, ქართული ანბანის ერთი, მზის ღვთაების აღმნიშვნელი ასო-ნიშანი „დ“ და მისი სახელდება „დონ“-ი (ნაწილობრივ „წილი“ძ იძლეოდა (რ. პატარიძე, „ქართული ასომთავრული“ძ. რადგან იგი მხოლოდ რიცხვულ ლოგიკასა და ასომთავრულის გრაფიკულ აღნიშვნებზე იყო დაფუძნებული, ადვილი გამოდგა მის წინააღმდეგ გალაშქრება. ასეც მოხდა. ახლა ჩვენ შევძელით იოანე ზოსიმეს წერილის შიფრით იგივე კალენდრის რიცხვული არსის უკვე ქართულ სიტყვაში მიგნება, თანაც არა უბრალოდ სიტყვაში, არამედ წელთაღრიცხვის ერთეულში. წარმოიდგინეთ არქაული პერიოდის ქართველი სწავლული, რომელიც აკვირდება ცას და ქმნის კალენდარს და მის ერთეულად მიღებულ სიტყვაში დებს კალენდრის მთელ რიცხვულ არსს. ეს დიდებულია! აქ უკვე სიტყვასთან ერთად აზრობრივი დატვირთვაც ხდება ქმედითი და ძნელდება წინააღმდეგობა. მაგრამ როგორ უკავშირდება ეს ყველაფერი იოანე-ზოსიმეს?

**— სწორედ ეგ უნდა მეკითხა...**

— საქმე ის არის, რომ იოანე-ზოსიმესეული „ქართული ენის სასწაული — 94“, ზემოხსენებული კალენდრის შიფრია (რამაზ პატარიძის ანბანში და ჩვენგან სიტყვაში მიგნებული კალენდრისძ. ისევე, როგორც მთელი ხელნაწერის რიცხვ-ნიშნების მთლიანი ჯამია, ისევ იმ კალენდრის რიცხვული მტკიცება... თანაც დამტკიცდა, რომ ქართულ ლექსიკაში ეს ამოცანის ერთადერთი ამოხსნაა (!ძ. გესმით, სხვა ამონახსნი არ არსებობს. მოკლედ ამ ვარიანტში „სასწაული“ ეს ქართული კალენდარია. ფიგურალურად თუ ვიტყვით, სამად გაჭრილი ნახატიდან, რომლიდანაც ერთს რამაზ პატარიძემ მიაგნო, მეორე იოანე-ზოსიმემ მოგვცა, მე ხელთ შემრჩა შუა ნაწილი, რომელიც ორგანულად მოერგო ორივეს და აღადგინა მთელი სურათი... აქ ყველაფერი ცხადია და სკეპტიკოსთა წინააღმდეგობა ამაო ხდება. ნახსენები სურათი იმდენად ლამაზი და მრავალწახნაგოვანი აღმოჩნდა, გაოცდებით... არ მიკვირს მისი ღვთიურობა. ამაზე მეტს საპატრიარქოს რეაქციამდე ვერაფერს მოგახსენებთ... რადგან ხელნაწერის სასწაულები აქ კი არ მთავრდება, პირიქით აქ იწყება...

**— კიდევ ერთი არგუმენტი გვითხარით, ბატონო ალეკო.**

— ნახატზე გამახსენდა... იოანე-ზოსიმეს ნახატი მართლაც დარჩა და როგორც კვლევის ბეჭედი, იგი მთელი შიფრის მამტკიცებელი ინფორმაციის შემცველია... მეტი რა გითხრათ. დასრულებულია და გამოცემის სტადიაში 200-გვერდიანი წიგნი სათაურით: „მოელის დღეს მას მეორედ მოსვლასა... (იოანე-ზოსიმეს გაცხადებული საიდუმლო და... საქართველოძ“. ჩვენ უამრავ ფაქტობრივ არგუმენტზე ვერ ვისაუბრეთ. ხელნაწერი და, აქედან გამომდინარე, წიგნი, არქაული პერიოდის სარწმუნოებრივად ახალ, მნიშვნელოვან პასაჟებს წარმოაჩენს და ის ორგანულად, მშვენივრად ეწერება მართლმადიდებლურ მსოფლმხედველობაში. წიგნი ახალ და გასათვალისწინებელ ასპექტებს იძლევა ქართულ სიტყვასთან, ჟამთაღრიცხვასა და ანბანმცოდნეობასთან მიმართებაშიც.

**— ბატონო ალიკო, უფრო მკაფიოდ ვუთხრათ საზოგადოებას, რა იწინასწარმეტყველა იოანე ზოსიმემ და რა გაიხსნა.**

— იოანე-ზოსიმეს ხელნაწერი იმდენად მრავალწახნაგოვანია, ძნელია ორიოდე სიტყვით თქმა. როგორც კი ვკონკრეტდები, უკმარისობის გრძნობა მიჩნდება. მაინც ვცდი. წიგნში დამტკიცებულია: **იოანე-ზოსიმემ ქართულ სიტყვაში მიაგნო ქართულ კალენდარს, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება, ანუ ნახა სწავლულთა მიერ ხელოვნურად შექმნილი ქართული სიტყვები, სავარაუდოდ არაერთი (ქურუმთა საიდუმლო ენის ნაშთები?!) და დაწერა: „ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დამარხულ არს.“ მან ქართულ ანბანსა და სახარებაში მიაკვლია ლაზარეს აღდგინების ანალოგიურ სიუჟეტებს და გვითხრა: „სახარებასა შინა ამას ენასა ლაზარე ჰრქვიან“, ანუ გააჩინა ლაზარესავით მისი გარდაუვალი აღდგინების იმედი. მისი ხელნაწერის შიფრის, ე.წ. ქართული ჰემატრიის შესაძლებლობები გაცილებით ფართოა და ქართული ლექსიკის გარკვეულ არეალს მოიცავს...**


# აუქციონი

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა აცხადებს აუქციონს მცხეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებაზე I ლოტად.**

**I ლოტი: მცხეთის მუნიციპალიტეტის, სოფელ საგურამოში მდებარე 1600.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართი (საკადასტრო კოდი: №72.06.03.247) საწყისი გასაყიდი ფასი: 1 კვ.მ – 9 ლარი და 50 თეთრი (ცხრა ლარი და ორმოცდაათი თეთრი).**

აუქციონის “ბე” შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის 20 %-ს.

აუქციონის ბიჯი შეადგენს საწყისი გასაყიდი ფასის – 10%-ს.

აუქციონის მონაწილის ბილეთის ფასი შეადგენს - 50 ლარს.

აუქციონი ჩატარდება გამოცხადების დღიდან ოცდამეათე კალენდარულ დღეს, დღის 12 საათზე მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში, მისამართი: ქ. მცხეთა, დ.აღმაშენებლის ქ. №73. აუქციონში მონაწილეობის მსურველთა განცხადებების მიღება იწყება გაზეთში გამოქვეყნების დღიდან და გრძელდება 30-ე კალენდარული დღის 11 საათამდე. თუ 30-ე კალენდარული დღე ემთხვევა დასვენების დღეს, მაშინ განცხადებების მიღება გრძელდება და შეწყდება მომდევნო პირველსავე სამუშაო დღეს იმავე საათზე.

ინფორმაციის გამოქვეყნების შემდეგ, ყველა დაინტერესებულ პირს უფლება აქვს წინასწარ გაეცნოს აუქციონით გამოცხადებულ გასაყიდ ქონებას.

აუქციონში მონაწილეობის მიღებისათვის, საჭიროა ფიზიკურმა პირმა პირადობის მოწმობასთან ერთად წარმოადგინოს “ბე”-ს და ბილეთის გადახდის ქვითარი, ხოლო იურიდიულმა პირმა მასთან ერთად სადამფუძნებლო დოკუმენტაცია. თუ წარმოდგენილი დოკუმენტაცია დააკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ მოთხოვნებს, მყიდველი მიიღებს მონაწილის ბილეთს და მხოლოდ ამის შემდეგ მიენიჭება მონაწილის სტატუსი.

,,ბე”-ს და ბილეთის საფასურის გადახდა უნდა მოხდეს შემდეგ ანგარიშზე: მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა, საიდ.კოდი 236094196 ანგ. №33030024 ლიბერთი ბანკი, ბანკის კოდი 220101415

**P. S. გაცნობებთ, რომ ზემოთ მითითებულ მიწის ნაკვეთზე განთავსებულია 150მმ-იანი გაზსადენი და აღნიშნული გაზსადენის გადატანა-რეკონსტრუქცია უნდა განხორციელდეს მყიდველის მიერ.**

**მისამართი და საკონტაქტო ტელეფონებია: ქ. მცხეთა, დ. აღმაშენებლის ქ. №73.**

**ტელ: 51-27-27; 899 22-65-33; 899 34-50-85**

**მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა.**

ფეხბურთი

# მოზაიკა






**ფიფამ გამოაქვეყნა აპრილის რეიტინგი, რომელშიც, წინა თვესთან შედარებით, მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა.**

მათგან უმთავრესია პირველ პოზიციაზე ბრაზილიის დაბრუნება, რომელმაც ხანგრძლივი დევნის შემდეგ მეორე ადგილამდე „ჩამოალაზორანტა“ ევროპის მოქმედი ჩემპიონი ესპანეთი. ერთგვარი როქი გააკეთეს პორტუგალიამ და ჰოლანდიამ, რომლებმაც მესამე-მეოთხე საფეხურები გაცვალეს.

რაც შეეხება საქართველოს, უკანასკნელ ათწლეულებში დამკვიდრებული ტრადიციის შესაბამისად, მან უკუსვლა განაგრძო და მარტის 118-ე მონაგარიდან 119-მდე დაეშვა.

გაეცანით საუკეთესო ოცეულსა და „ევრო-2012“-ის შესარჩევ ციკლში „ჯვაროსანთა“ მომავალი მეტოქეების ნაკაიკაცარს: ბრაზილია, ესპანეთი, პორტუგალია, ჰოლანდია, იტალია, გერმანია, არგენტინა, ინგლისი, ხორვატეთი, საფრანგეთი, რუსეთი, საბერძნეთი, ეგვიპტე, აშშ, ჩილე, სერბეთი, მექსიკა, ურუგვაი, კამერუნი, ნიგერია, ავსტრალია — 24-ე ისრაელი... 46-ე — ლატვია... 154-ე — მალტა.

შეგახსენებთ, რომ თემურ ქეცბაიას შეგირდები 25 მაისს ავსტრიის ქალაქლინცში ამხანაგურ შეხვედრას კამერუნელებთან გამართავენ.

* * *

**როგორც ყველა ზღაპარს, „ბარსელონას“ ჰეგემონიასაც დაესვა წერტილი, თუმცა ხოსეპ გვარდიოლას შეუძლია იამაყოს, რომ მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ორრაუნდიან ნახევარფინალურ დუელში ღირსეული მეტოქე — კოლეგის ჟოზე მაურინიუს გაწვრთნილმა „ინტერმა“ დაამარცხა — 1:0 (1:3ძ. ერთადერთი გოლი 84-ე წუთზე პიკემ გაიტანა.**





ალსანიშნავია, რომ იტალიური გრანდის ქომაგები 1972 წლიდან ელოდნენ ყველაზე პრესტიჟული ევროპული საკლუბო ტურნირის გადამწყვეტ მატჩში მონაწილეობის უფლების მოპოვებას და, როგორც იქნა, საწადელს გენიალური პორტუგალიელი სპეციალისტის თავკაცობით მიაღწიეს.

დიახ, გენიალურის, რადგან კატალონიელთა ასეთი ტაქტიკური გაცამტვერება სწორედაც რომ უმაღლესი რანგის პროფესიონალის ნაამაგარ-განსწავლულ შეგირდებს შეეძლოთ. თანაც, გასათვალისწინებელია, რომ სტუმრები 28-ე წუთიდან მოედანზე ათნი დარჩნენ — წითელი ბარათი მათმა ბრაზილიელმა ნახევარმცველმა ტიაგო მოტამ დაიმსახურა, რის გამოც იგი ფინალს გამოტოვებს.

იგივე ემუქრება მეორე ფინალისტის — მიუნხენის „ბაიერნის“ ფრანგ ვარსკვლავს ფრანკ რიბერის, რომელიც წინა დღეს „ლიონთან“ გაძევების გამო უეფას სადისციპლინო კომიტეტმა სამმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. როგორც გერმანული „ბილდი“ იტყობინება, ბავარიული გიგანტის ბოსები ამ მკაცრი ვერდიქტის გასაჩივრებას აპირებენ.



ჭადრაკი

# ჯერჯერობით – მეორეზე

**ამ დღეებში ნალჩიკი ფიდეს გრან-პრის მესამე ტურს მასპინძლობს.**

**შეგახსენებთ, რომ წინა ორი თურქეთსა და ჩინეთში გაიმართა, ხოლო დანარჩენი სამი სეზონის ბოლომდე ჯერმუკში (სომხეთი, ივნის-ივლისიძ, ულან-ბატორში (მონღოლეთი, ივლის-აგვისტოძ და სანტიაგოში (ჩილე, ოქტომბერ-ნოემბერიძ მოეწყობა.**

თითოეული ასპარეზობის საპრიზო ფონდი 40 000 ევროა, საიდანაც გამარჯვებული 6 000 მიიღებს, მთელი სერიის აბსოლუტურ ჩემპიონს კი 15 000 გადაეცემა. მასვე პლანეტის უძლიერესი მოჭადრაკის ტიტულისთვის მატჩში თამაშის უფლება მიენიჭება, რომელშიც მეტოქეობას წლეულსვე თურქეთში დაგეგმილი მსოფლიოს პირველობის ტრიუმფატორი გაუწევს.

ფიდე აღნიშნულ შეჯიბრებას პირველად ატარებს და დებულებით, ბრძენთა თამაშის თითოეულ ერთგულს ექვსიდან ოთხ ტურნირში მონაწილეობის უფლება აქვს, საიდანაც სამი საუკეთესო შედეგი შეჯამდება და ადგილებიც ამის მიხედვით განაწილდება.



ნანა ძაგნიძეს უკვე 130 სარეიტინგო ქულა აქვს, ხოლო მაია ჩიბურდანიძეს — 45 ქულა.

ძაგნიძე წარმატებით ჩაება ყაბარდო-ბალყარეთის დედაქალაქში მიმდინარე ტურნირშიც, სადაც 3 ტურის შემდეგ 2 ქულა მოაგროვა და მეორე პოზიციაზეა.

კალათბურთი

# ჯორჯიელის აღიარება

**„ატლანტა ჰოუქსში“ ზაზა ფაჩულიას პარტნიორი, 30 წლის მცველი ჯამალ კროუფორდი ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საუკეთესო მეექვსე მოთამაშის, იგივე დუბლიორის პრიზით დაჯილდოვდა.**



მან სეზონის 79-ე შეხვედრა სათადარიგოთა სკამიდან დაიწყო, თუმცა 610 გამოკითხულიდან 580-მა მისცა ხმა.

მეორე ადგილი შარშანდელმა გამარჯვებულმა ჯეისონ კიდმა („დალას მავერიქსი“ძ დაიკავა, ხოლო მესამე — ბრაზილიელმა ცენტრმა ანდერსონ ვარეჟაომ („კლივლენდ კავალიერზი“ძ.

ინტერნეტიდან

## ანანდი წინ გაიჭრა

**მსოფლიოს საჭადრაკო გვირგვინისთვის ბრძოლაში ახლანდელ მსოფლიო ჩემპიონს ვიშვანათან ანანდსა და ბულგარელ დიდოსტატ ვესელინ ტოპალოვს შორის გათამაშდა მეოთხე პარტია, პრეტენდენტის სამშობლოში ის ინდოელი სტუმრის გამარჯვებით დამთავრდა.**

32-ე სვლაზე ტოპალოვი იძულებული გახდა, თეთრი ფიგურებით მოთამაშე ანანდთან თავი დამარცხებულად ეცნო. პარტია სამ საათზე ცოტა მეტ ხანს გაგრძელდა.

კომენტატორები აღნიშნავენ, როგორც მატჩის მეორე პარტიაში, აქაც ტოპალოვმა წარუმატებლად წარმართა „კატალონური დასაწყისი“ და სათანადოდ ვერ უპასუხა ანანდის მიერ მხედრის შეწირვას და დამარცხდა.




ანანდის თამაშს კი კომენტატორებმა „დიდებული“ უწოდეს. ახლა მატჩის ანგარიშია 2,5-1,5 ანანდის სასარგებლოდ. გუშინ დიდოსტატები ისვენებდნენ. დღეს გაიმართება მორიგი პარტია. თეთრი ფიგურებით ტოპალოვი ითამაშებს.

## ორმაგი გოლი: „მაკრატელათი“




**ფეხბურთში არგენტინის ჩემპიონატზე, როდესაც ერთმანეთს ხვდებოდნენ „ხიმნაზია ლა პლატა“ და „ბოკა ხუნიორსი“, მოხდა ისეთი რამ, რაც არასოდეს მომხდარა და ალბათ აღარც მოხდება. მას შემდეგ, რაც „ბოკას“ მცველისგან ბურთი ჰაერში ავარდა, „ხიმნაზიის“ ორმა მოთამაშემ — სებასტიან რომერომ და მარკო პერესმა — ერთდროულად „მაკრატელათი“ დაარტყა ბურთს.**

ბურთი ბადეში გაეხვია, გოლი ორმაგად არ ჩაუთვლიათ „ხიმნაზიისთვის“, მაგრამ ერთი ბურთიც საკმარისი იყო მისი გამარჯვებისვთის. მრავალგზის გასინჯვის შემდეგ გოლი პერესს მიაკუთვნეს. თუმცა ეს ვიდეოჩანაწერზე გარკვეულად არ ჩანს. გატანილი ბურთით გამოწვეული სიხარული კი პირველმა პერესმა გამოხატა, ალბათ გადამწყვეტიც ეს იყო.

## შაკირა ჰიმნს იმღერებს

**ცნობილი კოლუმბიელი პოპ-ვარსკვლავის შაკირასა და სამხრეთ აფრიკული ჯგუფის Frshlyground სიმღერა „დრო აფრიკისთვის“ აარჩიეს როგორც ოფიციალური ჰიმნი ფეხბურთში მომავალი მსოფლიო ჩემპიონატისთვის.**

შაკირა და გუნდი სიმღერას შეასრულებენ ჩემპიონატის ოფიციალური გახსნის ცერემონიაზე 10 ივნისს, აგრეთვე ფინალური მატჩის წინ — 11 ივლისს. ადრე გადაწყვეტილი იყო, რომ ამ სიმღერას შეასრულებდა ეიკონი. მას თხოვნით მიმართა ფიფამ, რომ ის ყოფილიყო ჩემპიონატზე მუსიკალურ კურატორად. მაგრამ შემდეგ ორგანიზატორებმა ყველაფერი შეცვალეს. ისე პოპ-საოცრება ფეხბურთზე პირველად როდი იმღერებს. შაკირამ შეასრულა ჰიმნი ბერლინში 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე — იტალია-საფრანგეთის ფინალური მატჩის წინ.



# სიმართლე, სრული სიმართლე და მხოლოდ სიმართლე!

**„რაშიც სტალინი დამნაშავეა, მას ვერავითარი დაცვა ვერ უშველის, რაშიც სტალინი დიადია, მას არავითარი დაცვა არ სჭირდება“.**

**(ლევან ხაინდრავა „ფიქრები თანამედროვე სტალინიანაზე“)**

## გვეხმაურებიან

**რამდენიმე თვის მანძილზე უდიდესი ინტერესითა და გულისყურით ვადევნებდი თვალს რუსი ისტორიკოსის ალექსანდრ ელისეევის წიგნის „1937 წლის გამოცანის ამოხსნა. „საუკუნის დანაშაული“ თუ ქვეყნის გადარჩენა?“ პუბლიკაციას გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ფურცლებზე.**

გაოცებული ვიყავი წიგნის ავტორის უნიკალური ერუდიციითა და გათვითცნობიერებულობით გრანდიოზული ქვეყნის – საბჭოთა კავშირის ფაქტობრივად მთელი პოლიტიკური ისტორიის დეტალებში.




რუსი ავტორების არც ერთ წიგნში თუ სხვა პუბლიკაციებში არ შევხვედრივარ ამ უაღრესად რთული, წინააღმდეგობრივი და დრამატიზმით აღსავსე ეპოქის ასეთ ღრმა, ძალზე კომპეტენტურ, ჭეშმარიტად მეცნიერულ და, როგორც ბოლო მომენტამდე ვთვლიდი, აბსოლუტურად ობიექტურ გამოკვლევას.

კერძოდ, რაში ვხედავდი ელისეევის ფუნდამენტური შრომის უმთავრეს ღირსებას? – რაში და იმაში, რომ იმ აღვირახსნილი ბაკქანალიის საპირისპიროდ, რომელიც გაჩაღდა რუსულ პრესაში, სხვადასხვა სახის პუბლიკაციებში იოსებ სტალინის მიმართ მისი გარდაცვალებისთანავე (და რაც, ნაწილობრივ, ახლაც გრძელდება) ელისეევის წიგნში მთელი სიგრძე-სიგანით არის წარმოჩენილი მე-20 საუკუნის ამ უდავოდ უდიდესი, №1 პოლიტიკური მოღვაწის გრანდიოზული ფიგურა.

ეს ძალიან ბევრს ნიშნავს! მით უმეტეს, რომ ავტორი რუსია!

აქვე, დიდი სიამოვნებით და მადლიერების გრძნობით უნდა შევახსენო მკითხველს, რომ პირველად, უაღრესად დამაჯერებლად და, რაც მთავარია, სამაგალითო ობიექტურობით სტალინის ფენომენის დასაბუთებული მეცნიერული ანალიზი გააკეთა ქართველმა მწერალმა, შესანიშნავმა პიროვნებამ ლევან ხაინდრავამ (1916-1995) თავის ბრწყინვალე, ვრცელ ნარკვევში „Мысли о современной Сталиниане“ (დაიბეჭდა ჟურნალში „Литературная Грузия“ 1989 №1), რომელმაც ძალზე ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც საბჭოურ, ისე, წარმოიდგინეთ, უცხოურ პუბლიკაციებში და მკითხველთა პირად წერილებში.

აქვე დავსძენ, რომ ბატონ ლევანის ნარკვევს დამაჯერებლობას და პირუთვნელობას სძენდა ის პარადოქსული გარემოება, რომ თვითონ იგი სტალინის ეპოქაში რეპრესირებული იყო და მხოლოდ 1955 წელს, „ხალხთა ბელადის“ გარდაცვალების შემდეგ, დაბრუნდა ციმბირის გადასახლებიდან.

ვუბრუნდები რა კვლავ ა.ელისეევის წიგნს, ვიმეორებ, რომ მასში სწორად და ღირსეულად არის წარმოჩენილი სტალინის, როგორც საბჭოთა კავშირის იმპერიის მეთაურის სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური (მათ შორის, შინაპარტიული) მოღვაწეობა. მაგრამ მხედველობაშია მისაღები, რომ ეს არის საკითხის – კერძოდ, სტალინის ფენომენის გაცნობიერების – მხოლოდ ერთი, თუმცაღა ძალზე მნიშვნელოვანი მხარე და ამიტომ მოუთმენლად ველოდი წიგნის იმ ფურცლებს, სადაც წარმოდგენილი იქნებოდა სტალინის – „მე-20 საუკუნის მეფისტოფელის“ (არსებობს ასეთი განმარტებაც!) მოღვაწეობის მეორე მხარე და, კერძოდ, მისი თანმხლები კოშმარული, სისხლიანი კალეიდოსკოპის სურათი.

განა ვინმესთვის არ არის ცნობილი, თუ როგორ გაუბედურდა იმ სისხლიან წლებში საქართველოს მოსახლეობის სრულიად უდანაშაულო ვეებერთელა მასა? ტრაგიკულად დაიღუპნენ ჩვენი ინტელიგენციის ბრწყინვალე წარმომადგენლები: დიდებული მწერლები – მიხეილ ჯავახიშვილი, ტიციან ტაბიძე, პაოლო იაშვილი, ნიკოლო მიწიშვილი, შესანიშნავი მხატვარი დიმიტრი შევარდნაძე, გენიალური დირიჟორი ევგენი მიქელაძე, ასევე გენიალური რეჟისორი სანდრო ახმეტელი და ბევრი სხვაც. ნუთუ ვინმეს სჯერა, რომ ისინი, მართლაცდა, „ხალხის მტრები“ იყვნენ?!

მეტსაც ვიტყვით, საქართველო, ქართველი ხალხი პროცენტულად ყველაზე მეტად დაზარალდა საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებს შორის.

უკანასკნელ წლებში, როგორც ცნობილია, არაერთგზის ყოფილა ხალხის ცხოვრების ამ ტრაგიკული პერიოდის გაცნობიერებისა და შეფასების ცდა. პირველ რიგში, აქ უნდა დავასახელოთ პროფესორ გიორგი ციციშვილის გამოკვლევები („დიდი ბოროტების სათავეები“ და ა.შ.), პროფესორ მწერალ ზონდო არველაძის შესანიშნავი წიგნი „წამება მიხეილ ჯავახიშვილისა“ (2005), ცნობილი ჟურნალისტის ალეკო ასლანიშვილის ძალზე საინტერესო წერილების სერიები („დაკარგული საფლავები“, „და კრონოსი ჭამდა საკუთარ შვილებს“, „ინტერნაციონალური დესანტი“), რომლებიც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა.

ცხადია, ყველას გვახსოვს თენგიზ აბულაძის გრანდიოზული ფილმიც – „მონანიება“.

**სიმართლე, სრული სიმართლე და მხოლოდ სიმართლე – ეს გახლავთ ნებისმიერი ისტორიული გამოკვლევის უმაღლესი და აუცილებელი კრიტერიუმი, რასაც, სამწუხაროდ, მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებს ა.ელისეევის წიგნი.**

**გულბათ ტორაძე**

## გვწერენ

# გადასასვლელია საჭირო

**ზემო და ქვემო ფონიჭალას შუაზე ყოფს ფონიჭალის რკინიგზის სადგური. აქ 5 პარალელურ გზაზე გამუდმებით დგანან ვაგონები...**

ქვემო ფონიჭალაში არის პოლიცია, ფოსტა, ბანკი, აფთიაქები, დიდი მაღაზიები, პოლიკლინიკა... ზემო ფონიჭალაში შენდება ეკლესია, აქაური პენსიონერების დიდი რაოდენობა პენსიის ასაღებად ავტობუსით მიდიან ორთაჭალაში.

ამ ორი დიდი დასახლების დასაკავშირებლად საჭიროა გაკეთდეს საცალფეხო გადასასვლელი ხიდი – რკინიგზასთან. კარგი იქნება, თუ ასეთივე ხიდი გაკეთდება ქვემო ფონიჭალის ავტობუსის გაჩერებასთან, სადაც რამდენჯერმე მოხდა ავარია.

ამ წერილს ვწერ აქაური მოსახლეობისა და რკინიგზის სადგურის მოსამსახურეთა თხოვნით.

**შალვა მუმლაძე,**
**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის წევრი.**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: მაქვს 60 წელზე მეტი შრომის სტაჟი – სულ უმაღლეს სასწავლებლებში, ვარ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.**

**2006 წლიდან უმაღლეს სასწავლებელში აღარ ვმუშაობ, ვარ II ჯგუფის ინვალიდი, ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანებთან გათანაბრებული.**

**ვიღებ პენსიას 102 ლარის ოდენობით თვეში. უმაღლესი სასწავლებლიდან არ მითხოვია ე. წ. აკადემიური სტიპენდიის დანიშვნა, ვინაიდან ვიცი, 92 ლარს მივიღებ, ვმუშაობ არა საბიუჯეტო, არამედ კერძო სტრუქტურაში (საზოგადოებრივ სამეცნიერო ორგანიზაციაში), ვიღებ ხელფასს თვეში 100 ლარის ოდენობით (მიკავებენ საშემოსავლო გადასახადს).**

**გთხოვთ, განმიმარტოთ, ხომ არ მეკუთვნის უფრო მაღალი პენსია და სხვა შეღავათები (საქალაქო ტრანსპორტით მგზავრობის დროს შეღავათით ვსარგებლობ).**

**პასუხი:** თქვენს შეკითხვას გულდასმით გავეცანით, მართლაც ღირსეული პიროვნება ბრძანებულხართ, რომელიც თქვენი შრომითი წარსულით გაცილებით უკეთეს სოციალურ უზრუნველყოფას და მაღალ პენსიას იმსახურებთ, მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, თქვენთვის პენსიის გადიდების ან კომუნალური გადასახადების გადახდის დროს შეღავათების გავრცელებისათვის არ არსებობს საფუძველი. ვერც სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის დასანიშნად მიმართვას გირჩევთ. მოგეხსენებათ, ერთ პიროვნებაზე ერთდროულად ორი სახის სახელმწიფო სარგებლის (პენსიის და აკადემიური სტიპენდიის) გაცემას მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს.

შემდგომში თუ რამ ცვლილება იქნება კანონში, თქვენი კატეგორიის პენსიონერთა სასარგებლოდ, ჩვენი გაზეთის მეშვეობით, ვეცდებით დროულად შეგატყობინოთ.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

---

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია თანაუგრძნობს ბატონ გურამ ახალაიას სიძის

ვასილ ეჯიბიას

გარდაცვალების გამო.

---



მეუღლე ციალა სტურუა, შვილი გია გივიშვილი, რძალი ნინო შილაკაძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ირაკლი ანტონის ძე გივიშვილი

პანაშვიდი 30 IV, 1 V, გამოსვენება 2 V, 15 სთ. მისამართი: ქ. თბილისი, ვანო სარაჯიშვილის ქ. №3 (რუსთაველის მოედანთან).

---

თამაზ შილაკაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა

ირაკლი ანტონის ძე გივიშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

---

საქართველოს მეან-გინეკოლოგთა და პერინატალოგთა ასოციაცია, ს.ს. ჩაჩავას სახელობის პერინატალური მედიცინისა და მეანობა-გინეკოლოგიის ს/კ ინსტიტუტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მეანობა-გინეკოლოგიის დეპარტამენტი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ინსტიტუტის გენეტიკის განყოფილების ხელმძღვანელს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ მარინა დალაქიშვილს გარდაეცვალა დედა

თინათინ დოლაბერიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

---

## განცხადება

**საქართველოს იუსტიციის სამინისტროს**
**სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი აცხადებს კონკურსს ქონების (ფართის) სარგებლობაში (იჯარით) გაცემასთან დაკავშირებით**

**1. კონკურსის აუცილებელი პირობები:**

ა) სარგებლობით გადასაცემი ფართი:

საქართველოს ეროვნული არქივის შენობის (მდებარე: ვაჟა ფშაველას გამზ., №1) 17-სართულიანი კოშკის ფასადის ნაწილი (ვაჟა ფშაველას გამზირის მხრიდან) – ფართით 600 კვადრატული მეტრი;

ბ) სარგებლობის უფლებით გადაცემა ხდება რეკლამის განთავსების მიზნით;

გ) განსათავსებელი რეკლამის კონსტრუქციის ფორმა, ზომები და ვიზუალურ-შინაარსობრივი მხარე წინასწარ უნდა შეთანხმდეს სსიპ საქართველოს ეროვნული არქივის სახელმწიფო მაკონტროლებელ ორგანოსთან – საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან;

დ) სარგებლობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს 2 წელს;

ე) გრძელვადიანი (1 წელზე მეტი ვადით) ხელშეკრულების გაფორმებისას კონკურსში მონაწილე პირმა უნდა გაითვალისწინოს არსებული ინფლაცია და საბაზრო ფასების ცვლილებები;

ვ) სარგებლობის პერიოდში გახარჯული ელექტროენერგიის ღირებულება (თუ ასეთი იარსებებს) უნდა გადაიხადოს მოიჯარემ არსებული წესების დაცვით;

ზ) კონკურსში მონაწილემ უნდა გადაიხადოს ბე 1000 ლარის ოდენობით შემდეგ რეკვიზიტებზე;

თანხის მიმღები – სსიპ საქართველოს ეროვნული არქივი

მიმღების საიდენტიფიკაციო კოდი – 211358957

მიმღების ბანკი – სს ლიბერთი ბანკის ცენტრალური ფილიალი

მიმღების ბანკის კოდი – 220101480

მიმღების ანგარიშის ნომერი – 340817201;

თ) სარგებლობის (იჯარის) საწყისი ფასია 15000 ლარი (დღგ-ის ჩათვლით) თვეში;

ი) კონკურსის მონაწილემ წინადადებები უნდა წარმოადგინოს საკონკურსო კომისიის მიერ დადგენილი ფორმით და წესით;

კ) კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის შემთხვევაში, იჯარის ხელშეკრულება უნდა გაფორმდეს იმ ფორმით, რომელიც დაინტერესებულ პირებს გასაცნობად გადაეცემა წინასწარ, განაცხადის შემოტანამდე, განაცხადის დადგენილ ფორმასთან ერთად საკონტაქტო პირის მიერ – სსიპ ეროვნული არქივის შესყიდვების განყოფილებაში.

**2. დაინტერესებულმა პირებმა საკონკურსო კომისიაში უნდა წარმოადგინონ:**

ა) განაცხადი, დალუქული კონვერტით.

განაცხადში სავალდებულოა აისახოს სარგებლობის უფლებით გადასაცემი ქონების დასახელება, იჯარის ვადა, იჯარის ღირებულება თვეში (დღგ-ს ჩათვლით) ლარებში, თანხმობა კონკურსის აუცილებელ პირობებზე;

ბ) ბე-ს გადახდის დოკუმენტი; (ბე ქონების სარგებლობის უფლებით მიმღებს ეთვლება ანგარიშსწორების დროს. ყველა დანარჩენ მონაწილეს ბე უბრუნდება უკან შედეგების გამოცხადებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში მონაწილის მოთხოვნით, მის მიერ მითითებულ რეკვიზიტებზე);

გ) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი (ფიზიკური პირის შემთხვევაში);

დ) ნოტარიულად დამოწმებული მინდობილობა, თუ იგი მოქმედებს სხვა პირის სახელით;

ე) ამონაწერი შესაბამისი რეესტრიდან.

**3. კონკურსანტებმა განაცხადი უნდა წარმოადგინონ 2010 წლის 01 ივნისის ჩათვლით 16 სთ-მდე.**

**4. დაინტერესებული პირების მიერ დალუქული კონვერტით წარმოდგენილი განაცხადი გაიხსნება 2010 წლის 1 ივნისს 16.00 საათზე. მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი №1, II სართული.**

**მისამართი: თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზირი, №1.**

**საკონტაქტო ტელეფონი: 38 14 25; 899 28 90 74**

**საკონტაქტო პირი: ტარიელ კობერიძე.**

## დაიჯესტი

### არა მოცულობა, არამედ განვითარების თავისებურება



**ბავშვების გონებრივი შესაძლებლობები არა იმდენად თავის ტვინის მოცულობაზეა დამოკიდებული, რამდენადაც მისი განვითარების თავისებურებებზე, – დაასკვნეს ამერიკელმა მეცნიერებმა. მაგნიტურ-რეზონანსული სკანირების მეთოდის გამოყენებით მათ დაადგინეს, რომ ვუნდერკინდების თავის ტვინის ქერქი, სხვა თანატოლებთან შედარებით, უფრო თხელია, მისი სისქის მატება კი უფრო ხანგრძლივია და ინტენსიური და პიკს 11-12 ასაკში აღწევს.**

ამის შემდეგ ქერქის მოცულობა სწრაფად იწყებს კლებას. საშუალო შესაძლებლობების მქონე ბავშვებს კი ქერქი თავიდანვე უფრო დიდი მოცულობისა აქვთ, მისი სისქე უფრო ნელა მატულობს და მაქსიმუმს უფრო გვიან აღწევს.

თავის ტვინის ქერქის შემდგომი შემცირება, რომელსაც ყველა ყმაწვილობაში განიცდის, როცა ზედმეტი უჯრედები „უქმდება" ისევე, როგორც მათ შორის კავშირები, რათა ტვინს უფრო ეფექტიანად მუშაობის შესაძლებლობა ჰქონდეს, ჩვეულებრივ ბავშვებში ეს პროცესი უფრო ნელა მიმდინარეობს, ვიდრე ნიჭიერებში.

გარდა ამისა, მეცნიერები ასევე აცხადებენ, რომ ინტელექტუალური აქტივობის ცენტრები ვუნდერკინდებს სხვებზე უფრო სწრაფად უყალიბდებათ.

### ორგანიზმის „მწმენდავები"

**ცრემლის შემადგენლობის შესწავლისას მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ეს ჭეშმარიტი ბალზამია, თანაც მარტო სულისთვის კი არა, არამედ სხეულისთვისაც! მინესოტის შტატის ოფთალმოლოგიური კვლევითი ინსტიტუტის ბიოქიმიკოსმა უილიამ ფრეიმ დაამტკიცა, რომ ცრემლები ერთმანეთისგან დიდად განსხვავდებიან – მათი შემადგენლობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რატომ ვტირივართ.**



ყველაზე მკვრივი, მარილიანი და გაჯერებულია ის ცრემლები, რომლებსაც უბედურებისა და სასოწარკვეთის დროს ვღვრით, ისინი ყველაზე მეტ ცილას შეიცავენ. გარდა ამისა, ასეთ ცრემლებში აღმოაჩინეს განსაკუთრებული ქიმიური ელემენტები, რომლებიც დიდი ნერვული დაძაბულობის დროს გამოიყოფა. ამ ნივთიერებათა დაგროვება მეტად მავნეა, ხოლო ორგანიზმიდან მათი გამორეცხვა მხოლოდ ცრემლების მეშვეობით შეიძლება.

### სპარსული მეცნიერება – მოწინავე ხაზზე

**გამოცემა „ნიუ საიენტისტში" გამოქვეყნებული სტატიიდან ირკვევა, რომ სამეცნიერო სამუშაოების მოცულობა ირანში, განსაკუთრებით ბოლო წლებში, მსოფლიო საშუალო დონეზე თერთმეტჯერ (!) უფრო სწრაფად იზრდება.** მსოფლიოში სამეცნიერო ნაშრომთა რიცხვი, 1980 წლიდან მოყოლებული, სტაბილურად იზრდებოდა. მაშინ მათი ოდენობა წელიწადში 450 ათასი იყო, შარშან კი ამ მაჩვენებელმა მილიონიან ნიშნულს მიაღწია, თანაც კანადის ანალიტიკური კომპანიის „საიენს-მეტრიქსის" მიერ გამოქვეყნებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ 2009 წელს აზიამ მთლიანად ამერიკას აჯობა.

– აზია იმაზე სწრაფად მიიღწევს წინ, ვიდრე მანამდე გვეგონა, ევროპა პოზიციებს მოსალოდნელზე უკეთ ინარჩუნებს, ხოლო ახლო აღმოსავლეთი ის რეგიონია, რომელსაც ყურადღებით უნდა დავაკვირდეთ, – აცხადებს მოხსენების ერთ-ერთი ავტორი ერიკ არშამბო. მისი თქმით, ირანულ პუბლიკაციებში ჭარბობს გამოკვლევები არაორგანულ და ბირთვულ ქიმიაში, ბირთვულ და ელემენტარულ ნაწილაკთა ფიზიკაში, ხოლო მისი თანაავტორი დებორა მაკენზი დასძენს, რომ ასევე მრავლადაა ნაშრომები ბირთვული ინჟინერიის სფეროში.




### პლანეტის მომავალი ნაკლებად ადარდებთ



**ყოველი მესამე ამერიკელი ირწმუნება, რომ მის მიერ ქვეყნის პრეზიდენტობის არჩევნებში ამა თუ იმ კანდიდატის მხარდაჭერაზე დიდ ზეგავლენას ახდენს ის, თუ როგორ უდგება ესა თუ ის კანდიდატი გარემოს დაცვის საკითხებს.** მიუხედავად იმისა, რომ 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების წინ ჩატარებული გამოკითხვის შედეგით ასე ფიქრობდა ამომრჩეველთა 11 პროცენტი, 20008 წელს ეს მაჩვენებელი 19 პროცენტამდე გაიზარდა. მიუხედავად ამისა, მრავალი სხვა საკითხი, მაგალითად, ომი ერაყში, სოციალური და სამედიცინო დაზღვევა, განათლება, გადასახადები და სხვ., ქვეყნის მოსახლეობისთვის უფრო მეტად მნიშვნელოვანია. აღსანიშნავია ისიც, რომ მასობრივი ინფორმაციის საშუალებები ასევე არ უთმობენ გარემოს დაცვის საკითხებს სათანადო ყურადღებას: 3231 შეკითხვიდან, რომელიც პრეზიდენტობის კანდიდატებს დაუსვეს, გლობალურ დათბობას მხოლოდ... რვა შეკითხვა ეხებოდა.

### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +11 – +16 |
| ქუთაისი. | +9 – +19 |
| ბათუმი. | +7 – +15 |
| ზუგდიდი. | +7 – +16 |
| თელავი. | +9 – +16 |

## დღის კალენდარი

### 30 აპრილი

ეფრემ დიდისა მაწყვერელისა (IXს.

ხსენება ღირსი მღვდელმოწამე სვიმეონ სპარსთა ეპისკოპოსისა და მისთანა მოწამეთა: ავდელთა და ანანია ხუცესთა, ქუსდაზატ საჭურისისა, ევნუქისა, ფუსიკის და სხვათა სპარსთა მიერ წამებულთა (344ს. ღირსი აკაკი მელიტინელ ეპისკოპოსისა (დაახლ. 433ს და ალაპიტე რომის პაპისა. მოწამე ადრიანესი და ზოსიმე თესალონიკელ იღუმენისა (1478ს.



ამოდის 04.59
ჩადის 18.58



ამოდის 21.31
ჩადის 05.45

### დაიბადნენ:

**1777 – კარლ ფრიდრიხ გაუსი,** გერმანელი მათემატიკოსი, ასტრონომი და ფიზიკოსი. გარდაიცვალა 1855 წელს.

**1870 – ფრანც ლეგარი,** უნგრელი კომპოზიტორი, დირიჟორი.

**1879 – კორნელი კეკელიძე,** ფილოლოგი, ლიტერატურათმცოდნე. გარდაიცვალა 1962 წელს.

**1883 – იაროსლავ ჰაშეკი,** ჩეხი მწერალი-სატირიკოსი. გარდაიცვალა 1923 წელს.

**1909 – იულიანა,** ნიდერლანდების დედოფალი.

**1946 – კარლ XVI გუსტავი,** შვედეთის მეფე.

### გარდაიცვალნენ:

**1883 – ედუარდ მანე,** ფრანგი მხატვარ-იმპრესიონისტი.

**1943 – ოტო იესპერსენი,** დანიელი ფილოსოფოსი.

**1983 – ჯორჯ ბალანჩინი (გიორგი ბალანჩივაძეს,** ამერიკელი ბალეტმეისტერი, კომპოზიტორ მელიტონ ბალანჩივაძის ვაჟი.

### მოვლენები:

**1789 წელი** – შეერთებული შტატების იმდროინდელ დედაქალაქ ნიუ-იორკში ჯორჯ ვაშინგტონი აშშ-ს პირველ პრეზიდენტად აირჩიეს.

**1803 წელი** – საფრანგეთმა ლუიზიანა აშშ-ს მიყიდა.

**1945 წელი** – გერმანიის რაიხსკანცლერმა (1933-1945ს ადოლფ ჰიტლერმა თავი მოიკლა.

**1968 წელი** – საბჭოთა კავშირში გამოვიდა პირველი იატაკქვეშა გაზეთის „მიმდინარე მოვლენების ქრონიკის" პირველი ნომერი.

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ქართული არმიის დღე.**

**ნიდერლანდები** – დედოფლის დღე.

**მედიანიუსი**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.7519 ლარი |
| 1 ევრო | – 2.3318 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.6932 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.9844 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4681 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1801 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2104 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1797 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5661 ლარი |



## კადრი



**რეკლამა „საქართველოს რესპუბლიკაში"**
**გ. ახვლედიანის ქ. №19.**
**99-62-77; 899 32-85-76.**

## ანეკდოტები

– გოგონი, რამდენი კილო ხართ?
– ეს საიდუმლოა...
– პირველი სამი ციფრი მაინც მითხარით...

* * *

თუ მაიმუნს თვალს მივადევნებთ, ეჭვიც გაგვიჩნდება, რომ მან იცის, როგორ იქცეს ადამიანად, მაგრამ არ სურს...



* * *

ჩემი ცოლის ყველა ნათესავიდან ყველაზე მეტად ჩემი თავი მომწონს.

* * *

თუ თქვენ უშეცდომოდ შეისწავლით ისლანდიურ ვულკანის სახელწოდებას, ეს ნიშნავს, რომ საქმე არაფერი გქონიათ.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.